ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

შაბათი 28 დეკემბერი 1940 წ. № 301 (6002) ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲨᲐᲚᲝᲗ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

„ჩვენ გვინდა ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურული და განათლებული გავხადოთ, და ჩვენ გავაკეთებთ ამას დროთა ვითარებაში",—სთქვა ამხანაგმა **სტალინმა** საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე. დიდი ბელადის ამ სიტყვების განსახორციელებლად ფართო პოლიტიკურ - საგანმანათლებლო მუშაობაა გაშლილი ქალაქად და სოფლად. სახელმწიფო დიდძალ თანხებს ხარჯავს კერძოდ სოფლად კულტურის კერების ნაყოფიერი მუშაობისათვის პირობების შესაქმნელად. პარტია და მთავრობა გამუდმებით ზრუნავენ კოლმეურნის კულტურული დონის ასამაღლებლად. საბჭოთა სოფლები მოფენილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელით, ყოველ სოფელში არის სკოლები, კლუბები, სამკითხველოები, კულტურის სახლები, ყოველ სოფელს ჰყავს ინტელიგენცია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სოფლის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ყოველივე ეს ეხმარება მილიონობით ადამიანებს ცოდნის დაუფლებაში და ამით ქმნის აუცილებელ ბაზას შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის.

წინ რომ მიდიოდე, საჭიროა იყო კულტურული. ტრაქტორისტი, კომბაინერი, აგრონომი, ზოოტექნიკოსი გარდა იმისა, რომ თავისი საქმე უნდა იცოდნენ, კულტურული ადამიანებიც უნდა იყვნენ.

საკოლმეურნეო სოფელი კოლოსალურ მოთხოვნებს აყენებს მაღალი კულტურის ადამიანებზე. საბჭოთა სოფელს ჰყავს ის კულტურული ძალები, მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი. საჭიროა ამ კულტურული ძალების გამრავლება და მათი გამოყენება სოფლად სწავლისა და კულტურულ-მასობრივი მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გასაშლელად.

ამ მხრივ შესანიშნავია სოფ. ფედიაკინოს (რიაზანის ოლქი) ინტელიგენციის მოწოდება საკოლმეურნეო სოფლის მთელი ინტელიგენციისადმი. თავის მოწოდებაში ფედიაკინელები ლაპარაკობენ არა მარტო თავისი მუშაობის შინაარსზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ ეწევიან ამ მუშაობას სოფლად, როგორ არის განაწილებული სოფლის ინტელიგენციის ძალები, რაზეა გამახვილებული ყურადღება, რომ სოფლის ინტელიგენცია რაც შეიძლება აქტიურად ჩაება კოლმეურნეობათა ცხოვრებაში და ახლებურად გარდაექმნა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად.

ფედიაკინელი ინტელიგენციის ამ მოწოდებას უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა სოფ. ალის (ხაშურის რაიონი) და საქართველოს მთელი რიგი სხვა რაიონების ინტელიგენცია.

სოფ. ალის ინტელიგენციამ წერილით მიმართა საქართველოს სოფლის ინტელიგენციას, აღნიშნა ფედიაკინელების ინიციატივის უდიდესი მნიშვნელობა და თავისი სიტყვა სთქვა თავის წარმატებებზე და მუშაობის შემდგომ გაშლაზე. სოფ. ალი წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის სოფელია. სოფლის საბჭოში 9 სკოლაა 880 მოსწავლით. ადგილობრივი ინტელიგენცია აქტიურ მონაწილეობას იღებს მასობრივ-კულტურულ მუშაობაში. სოფლის მასწავლებლებისა და აგრონომების ძალებით ეწყობა სხვადასხვა გამოფენა, ტარდება ლექციები და მოხსენებები, იწყობა სხვადასხვა წრეები, ფართოდ ინერგება მასობრივ-თავდაცვითი მუშაობა. ქოხ - სამკითხველოში, კლუბში სიამოვნებით მოდიან კოლმეურნეები. მოდიან ლექციების თუ მოხსენებების მოსასმენად, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების წასაკითხად, აგრონომისაგან ან ზოოტექნიკოსისაგან ამა თუ იმ საკითხზე კონსულტაციის მისაღებად. ფედიაკინელების მოწოდებასთან დაკავშირებით სოფ. ალის ინტელიგენციამ მთელ რიგ ვალდებულებათა შორის იკისრა აგრეთვე პრაქტიკული მონაწილეობა მიიღოს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელნიც მიმართულია ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღორძინებისაკენ.

ფედიაკინელების მოწოდებას გამოეხმაურა აგრეთვე ჩაისა და ციტრუსების მხარე — ლანჩხუთის რაიონი. ეს რაიონი მოწინავეა, და ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ადგილობრივ ინტელიგენციას. სოფ. ჩიბათში ქოხ-სამკითხველოს გამგე ნორა ჭყონია, აგროტექნიკოსი გერმან პატარაია, მასწავლებელი ურუშაძე, ბიოლოგი ხუხუნაიშვილი და მრავალი სხვ. ენერგიულად და აქტიურად მუშაობენ კოლმეურნეებში კულტურის დასანერგავად. რაიონში უკვე მთლიანად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა. საუკეთესო კულტმომსახურებას უწევენ მშრომელთ მახარაძის რაიონის კულტურის სახლები, კლუბები, ქოხ-სამკითხველოები.

ამრიგად, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში უკვე გვაქვს სუფთა, ნათელი, კარგად მოწყობილი შენობები კულტურის კერებისათვის, ასე რომ ფედიაკინელების მოწოდების საპასუხოდ საქართველოს სოფლის ინტელიგენციას ყოველგვარი პირობა აქვს უფრო ნაყოფიერი გახადოს თავისი კულტურულ-მასობრივი მუშაობა სოფლად.

ქოხ-სამკითხველოები, კლუბები, კულტურის სახლები სოფლად მოწოდებული არიან უდიდესი მუშაობა გასწიონ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. უნდა იბრძოლონ მეცნიერებათა მიღწევების ფართოდ დანერგვისათვის სოფლის მეურნეობაში, თვითეულ მშრომელში უნდა დანერგონ ბოლშევიკური დამოკიდებულება შრომისადმი, იბრძოლონ მაღალი მოსავლის მიღებისათვის, აწარმოონ საუკეთესო გამოცდილების პროპაგანდა და ორგანიზაცია, ამხილონ ზარმაცები და შრომის დეზორგანიზატორები, მომჭირნეობით მოეკიდონ საზოგადოებრივ საკუთრებას, ებრძოლონ წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ნაშთებს ადამიანთა შეგნებაში, აწარმოონ ანტირელიგიური პროპაგანდა, ებრძოლონ სიბინძურეს, უსუფთაობას, აწარმოონ კულტურულ - გამაჯანსაღებელი მუშაობა, აღზარდონ საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა. ასეთი დიდი ამოცანების გადასაჭრელად ქოხ-სამკითხველოებმა, კლუბებმა, კულტურის სახლებმა თავის ირგვლივ უნდა შემოიკრიბონ და დარაზმონ სოფლის ინტელიგენციის აქტივი. კულტურის კერების მუშაობა გაცილებით უკეთესად წარიმართება და, მაშასადამე, სოფლად კულტურისა და ეკონომიკის ზრდის ტემპები გაცილებით უფრო სწრაფი იქნება, თუ ისინი უკეთესად გამოიყენებენ სოფლის თვითეული ექიმის, მასწავლებლის, აგრონომის ინიციატივასა და ცოდნას. სოფლის კულტურის კერებს ამ მხრივ, მათს ირგვლივ სოფლის ინტელიგენციის შემოკრებისა და დარაზმვის საქმეში, დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სახალხო განათლების, პროფკავშირების და კომკავშირის ორგანიზაციებმა. სოფლის ინტელიგენცია — ეს მძლავრი, შესანიშნავი ძალა პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ამ ძალამ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით უფრო ფართო მონაწილეობა უნდა მიიღოს თავისი სოფლის, თავისი კოლმეურნეობის ცხოვრების გარდაქმნაში, მის კულტურულ და ეკონომიურ წინსვლაში.

ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲔᲑᲡ

საქართველოს სს რესპუბლიკის ზუგდიდისა და ლაგოდეხის რაიონებმა წარმატებით შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და სუბტროპიკული კულტურების მაღალ მოსავალს მიაღწიეს. ორივე რაიონი წარმოდგენილი იყო 1940 წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. 26 დეკემბერს გამოფენის მთავარმა კომიტეტმა მათ პირველი ხარისხის დიპლომი მიანიჭა. ამასთან ერთად აღნიშნული რაიონების სამიწათმოქმედო განყოფილებები მიიღებენ ფულად პრემიებს 10 ათასი მანეთის რაოდენობით და ავტომანქანებს.

პირველი ხარისხის დიპლომები მიიღეს აგრეთვე ასურეთის, ბორჩალოს, ლუქსემბურგისა და წნორის-წყლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა „ვარიანმა" და რესპუბლიკის ექვსმა კოლმეურნეობამ. ექვსმა საბჭოთა მეურნეობამ და 35 კოლმეურნეობამ მიიღო მეორე ხარისხის დიპლომები, ფულადი ჯილდო 5 ათასი მანეთის რაოდენობით და მოტოციკლები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის 170-მდე მოწინავე და ორგანიზატორი—1940 წლის გამოფენის მონაწილენი — გამოფენის მთავარმა კომიტეტმა ოქროს და ვერცხლის მედლებით დააჯილდოვა. დიდი ოქროს მედლები მიიღეს ლუქსემბურგის მტს-ის დირექტორმა ზელქანიამ, კასპის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ჯგუფხელმძღვანელმა ქალმა ქეთიშვილმა, რომელმაც ჰექტარზე საშუალოდ 899 ცენტნერი შაქრის ჭარხალი აიღო, ასურეთის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა დალაქიშვილმა და სხვებმა. (საქდესი).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲚᲐᲢᲕᲘᲐᲨᲘ

რიგა. რესპუბლიკის დედაქალაქში მუშაობა დაიწყეს სახალხო სასამართლოებმა. სახალხო მოსამართლეთა უმეტესობას შეადგენენ მუშები, პროფკავშირთა აქტივისტები, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები. საბჭოთა სასამართლოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა იურიდიული მომზადება გაიარეს სპეციალურ კურსებზე. უახლოეს დღეებში სახალხო სასამართლოები მუშაობას დაიწყებენ რესპუბლიკის ყველა ქალაქში.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ XXXIII ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პოლიტგამომცემლობა უახლოეს ხანში გამოუშვებს ლენინის XXXIII კრებულს, რომელიც დასაბეჭდად მოამზადა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს - ლენინის ინსტიტუტმა. კრებული შეიცავს ვ. ი. ლენინის მიერ დაგროვებულ მოსამზადებელ მასალებს მისი წიგნისათვის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში".

ვლადიმერ ილიას-ძემ, რომელიც ამ წიგნზე სამ წელზე მეტს მუშაობდა (1896-1899 წ.), შეისწავლა და კრიტიკულად გადაამუშავა მთავრობისა და საერობო მრავალრიცხოვანი სტატისტიკური კრებულები, გამოკვლევები, მონოგრაფიები, ასობით წიგნები, ჟურნალები, სტატისტიკური კრებულები და ყოველწლიური გამოცემანი მეურნეობის სხვადასხვა დარგის, ეკონომიკისა და ტექნიკის საკითხზე.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს ჯერ კიდევ არ მოეპოება ყველა მოსამზადებელი მასალა, რომლებიც ახასიათებენ ლენინის მუშაობას წიგნზე „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", — კონსპექტები, მის მიერ წაკითხული წიგნების ამონაწერები, მრავალი ცხრილის, ნაკრები ცნობებას შავად მონახაზები და სხვ. მაგრამ ის მასალებიც, რაც ინსტიტუტმა შეაგროვა, — 100-ზე მეტი წიგნი ლენინის შენიშვნებითა და მინაწერებით — აშკარად მოწმობენ, თუ რა დიდი მუშაობა შეასრულა ვლადიმერ ილიას-ძემ ამ შესანიშნავი მეცნიერული ნაშრომის შესაქმნელად.

წიგნებზე მინაწერი შენიშვნები, რომლებიც გამოქვეყნებულია ლენინის ამ კრებულში, მკითხველს გააცნობენ ლენინის მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს, იმას, თუ როგორ იყენებდა იგი შესასწავლ მასალასა და წყაროებს. „ლენინის შენიშვნები, — ნათქვამია კრებულის წინასიტყვაობაში, — მომავალი წიგნის შავად მონახაზებია. ამ მონახაზებს ლენინის სამეცნიერო შემოქმედების ლაბორატორიაში შევყევართ". (საქდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ

26 დეკემბერს დამთავრდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა კრებები.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების სხდომის კრებაზე საპატიო აკადემიკოსმა გამალეიამ წაიკითხა მოხსენება: „გრიპის თავიდან აცილების ზომები".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1933 წლამდე გრიპის გამომწვევად ითვლებოდა ინფლუენცის ჩხირი — ბაქტერია, რომელიც პფეიფერმა აღმოაჩინა. ამ უკანასკნელ ხანს შესაძლებელი გახდა იმის დამტკიცება, რომ გრიპს იწვევს ეგრეთწოდებული ფილტრაცი ვირუსი. მაგრამ აღმოჩენილი გამომწვევის საწინააღმდეგო აცრამ და შრატმა დადებითი შედეგები ვერ გამოიღო.

გამალეიამ გრიპის თავიდან აცილების ახალი მეთოდი გააშუქა, რომელიც მან აღმოაჩინა. ეს მეთოდი მდგომარეობს ცხვირის ლორწოიანი გარსის მგრძნობიარების ამაღლებაში და ლორწოს გამოყოფის გაძლიერებაში. ეს გამოყოფა სპობს გრიპის გამომწვევს-ფილტრაც ვირუსს. გამოყოფის გასაძლიერებლად ცხვირის ლორწოიან გარსს ოლეინის მჟავას დიდი პროცენტის შემცველ საპონს უსვამენ. ასეთი წასმის მიოხებით ადამიანის ორგანიზმს არ შეეყრება არა მარტო გრიპი, არამედ გაციებით გამოწვეული ავადმყოფობანიც. (საქდესი).

ᲑᲔᲚᲝᲡᲢᲝᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

ბელოსტოკი, 26 დეკემბერი (საქდესი). გუშინ ქალაქის თეატრში შესდგა ბელოსტოკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს პირველი სესია. სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა — ტყავეულის ქარხნის მუშამ—იანოვიჩმა.

ქალაქის საბჭოს დეპუტატებად ყველა საარჩევნო ოლქში არჩეულნი არიან კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები. სულ არჩეულია 267 კაცი. მათ შორის 73 ბელორუსი, 69 პოლონელი, 61 ებრაელი, 51 რუსი. დეპუტატებს შორის 82 ქალია.

სესიამ ერთსულოვნად აირჩია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი 11 წევრის შემადგენლობით. აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი როჟნოვსკი.

დიდი აღფრთოვანებით მიიღო სესიამ მისალმება ამხანაგი **სტალინისა და მოლოტოვისადმი.**

ᲡᲐᲐᲢᲡᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

ტალინი, 26 დეკემბერი (საქდესი). პეტსერის მაზრის საატსერის თემის 200 გლეხი შეხვდა სენის თემის სოფელ ლუკის გლეხს ამხ. სავინას, რომელიც მათ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს.

ამხ. სავინმა ამომრჩევლებს უამბო თავისი ბიოგრაფია და მადლობა გადაუხადა გაწეული ნდობისათვის. მან განაცხადა:

— მე ღარიბი გლეხი ვარ. თქვენ იცით, რომ ბურჟუაზიულ ესტონეთში ღარიბი კაცი უუფლებო იყო. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობაზე რომ კენჭი გეყარა, უნდა შეგეტანა საწინდარი — 250 კრონი. აბა სად იშოვიდა ღარიბი გლეხი ასეთ თანხას? საბჭოთა ხელისუფლებამ — მშრომელთა ხელისუფლებამ — ხალხს უაღრესად ფართო უფლებები მისცა. საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს შეუძლია აირჩიოს სხვები და თვითონაც იქნას არჩეული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს მოქალაქენი თავიანთი ქვეყნის სრულუფლებიანი პატრონები არიან.

გამოსულმა ორატორებმა გულთბილად ილაპარაკეს ამხ. სავინზე, როგორც ხალხის ღირსეულ კანდიდატზე.

— ჩვენ სიხარულით მივცემთ ხმას ხალხის ნამდვილ შვილს — ამხ. სავინს, — ერთსულოვნად განაცხადეს წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა.

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲐᲖᲘᲖᲑᲔᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

მოსკოვი, 26 დეკემბერი (საქდესი). სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. სედინმა აზერბაიჯანის აზიზბეკოვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის 20 წლისთავის აღსანიშნავად მადლობა გამოუცხადა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივს, სტუდენტებსა და ყველა მუშაკს ნავთის დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა წარმატებით მომზადებისათვის. 52 კაცი დაჯილდოებულია ნიშნით „სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებული" და სახალხო კომისარიატის ქებითი ფურცლით. დაჯილდოებულთა შორის არიან: ნავთისა და გაზის საბადოების გეოლოგიის კათედრის პროფესორი ამხ. აპრესოვი, სტუდენტი ბოგომოლოვი, თეორიული მექანიკის კათედრის გამგე დოცენტი გაზაროვი, დურგალი ზაიცევი, საერთო გეოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი კოვალევსკი, სტუდენტი ქალი მეერსონი, ქიმიისა და ნავთის ტექნოლოგიის კათედრის დოცენტი აბრამოვიჩ-დვარეცკაია, თბომანქანების ლაბორატორიის ლაბორანტი ბოგატიუკი, შოფერი ზეინალოვი, მარქსიზმ - ლენინიზმის საფუძვლების კათედრის დოცენტი უინჩუკოვა, ზეინკალი პოლიანსკი, უცხო ენების კათედრის უფროსი მასწავლებელი პაატოვა და სხვ.

გაღებულია სახსრები კაპიტალური მშენებლობისათვის ინსტიტუტის სასწავლო მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად: მთავარი შენობის მეოთხე სართულის დასაშენებლად, ნავთის ლაბორატორიების მოსაწყობად და გასამართავად.

„აზნეფტეკომბინატს" წინადადება მიეცა გადასცეს ინსტიტუტს ნავთის სარეწის, ჭაბურღილის, კრეკინგ - ქარხნისა და სხვ. მაკეტები, რომლებიც დამზადებულია გამოფენისათვის „აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის XX წელი". გამოყოფილია აგრეთვე სახსრები ინსტიტუტის პროფესორ - მასწავლებელთა შემადგენლობის, სტუდენტთა და მუშაკთა დასაჯილდოებლად. (საქდესი).

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ Ვ. Ი. ᲩᲔᲠᲜᲘᲨᲔᲕᲗᲐᲜ

კიევი, 26 დეკემბერს (საქდესი). სუმის ოლქის რომნის რაიონში, ზოლოტუხის მთაზე, ნავთის შადრევნის ამოხეთქვამ დიდი ინტერესი გამოიწვია მეცნიერ მუშაკებს შორის. საქდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ბ. ი. ჩერნიშევმა უკრაინის ნავთის მრეწველობის განვითარების პერსპექტივების შესახებ შემდეგი განაცხადა:

— ხუთი წლის განმავლობაში გეგმაშეზომილი მუშაობა სწარმოებს იმ ადგილის შესასწავლად, სადაც დნეპრი და დონეცი ერთმანეთს ერთვის, რათა გამოვლინებულ იქნას ნავთის სიმდიდრე. ამიტომ რომნის რაიონში ამოხეთქილი ნავთის შადრევანი მოულოდნელი როდია. ეს არის გეოლოგთა, მაძიებელთა და მბურღავთა მუშაობის პირველი სერიოზული პრაქტიკული შედეგი.

რომნში ნავთი ზედა ჰორიზონტებიდან მოდის. ყოველდღიურად იღებენ 70-დან 100 ტონამდე გაზიან ნავთს. ნავთის შადრევნის ამოხეთქვა ამტკიცებს, რომ ჩვენ აქ მოძრავი ნავთის დიდი მარაგი მოგვეპოვება.

დამტკიცებულია, რომ რომნის საბადოს გარდა ნავთი მოიპოვება ისაჩკოვის ფენასა (პოლტავის ოლქი) და დიმიტროვსკის სტრუქტურაში (ჩერნიგოვის ოლქი), რომლებიც თავიანთი აღნაგობის მიხედვით ისეთივენი არიან, როგორც რომნისა.

ამჟამად უკრაინის ნავთის მრეწველობის მუშაკთა ძირითად ამოცანას წარმოადგენს ღრმა საროტორო ბურღვის დაჩქარება. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ აღმოვაჩინოთ ღრმად ჩაწოლილი ნავთის საბადოები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲡᲐᲙ. Კ. Პ. (Ბ) XVIII ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲡ

ᲬᲘᲗᲔᲚᲤᲚᲝᲢᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ჩრდილოეთის ფლოტი. ჩრდილოეთის ფლოტის გემებსა და ნაწილებში საკ. კ. პ. (ბ) XVIII საკავშირო კონფერენციის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადება გაიშალა. № წყალქვეშა ნავის პირადმა შემადგენლობამ ფლოტის ყველა მეომარს, მეთაურსა და პოლიტმუშაკს მოუწოდა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება კონფერენციის აღსანიშნავად. წყალქვეშა ნავის ეკიპაჟმა ვალდებულება იკისრა საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენცია აღნიშნოს ახალი წარმატებებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, საფუძვლიანად შეისწავლოს რთული სამხედრო ტექნიკა. (საქდესი).

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ჭიათურა, 26 დეკემბერი („კომუნისტის" კორ.) ცნობამ საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის მოწვევის შესახებ ახალი საწარმოო ენთუზიაზმი გამოიწვია ჭიათურის მაღაროებში. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნებმა № 18 და „პეროფმა" წლიური საწარმოო გეგმა 25 დეკემბრისათვის 105 პროცენტით შეასრულეს. 66 ათასი ტონა მარგანეცის ნაცვლად გარეცხეს 70.038 ტონა. ქარხნების კოლექტივებმა აიღეს ვალდებულება წლის ბოლომდე დამატებით გარეცხონ 10 ათასი ტონა მარგანეცი. ქარხანა „პეროფში" მრავალდაზგიანმა მომუშავეებმა ნ. ლომიძემ, ქ. ბარბაქაძემ, ნ. მაჭავარიანმა და სხვებმა, რომლებმაც წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, აიღეს ახალი ვალდებულებანი.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში, რომელიც ნედლეულს აწოდებს ქარხანა „პეროფს", გაიშალა XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. კომუნისტი ნ. ჭილაძემ, რომელმაც 1940 წლის გეგმა 154 პროცენტით შეასრულა, შეჯიბრებაში გამოიწვია სტახანოველი ა. გაფრინდაშვილი და იკისრა იანვრის გეგმის 300 პროცენტით შესრულება.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს მე-5 უბანმა (გამგე — ნ. გამცემლიძე) 26 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური საწარმოო დავალება. უბნის სტახანოველებმა კომუნისტებმა ძმებმა დომენტი და ნიკოლოზ წიგნაძეებმა წლიური საწარმოო დავალება 140 პროცენტით შეასრულეს და აიღეს ვალდებულება 1941 წლის გეგმა 300 პროცენტით შეასრულონ.

დიმიტროვის სახელობის მაღაროში XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ათეულობით სტახანოველები ჩაებნენ. შეჯიბრებაში პირველნი ჩაებნენ ქ. ღვთაძე, ს. სადღუნიშვილი, გ. ზრეგვაძე, ვ. მჭედლიშვილი და სხვები.

ვოროშილოვის სახელობის მაღაროში სტახანოველებმა აბ. კუპატაძემ, ა. ზარქუამ, დ. ხვედელიძემ, იპ. კუპატაძემ და სხვებმა აიღეს ვალდებულება, რომ 15 თებერვლისათვის მიაღწევენ სემივოლოსის სტილით მუშაობის დანერგვას, აამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას და მიაღწევენ გეგმის 200-250 პროცენტით შესრულებას.

XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა ლენინის, სტალინის და ბერიას სახელობის მაღაროებშიც.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲔᲚ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ საკ. კ. პ. (ბ) საკავშირო კონფერენციის მოწვევის შესახებ ახალი საწარმოო და პოლიტიკური აღფრთოვანება გამოიწვია ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში. ყველა საწარმოში ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ბათუმის კვანძზე 27 მუშაკი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. კვანძის მემანქანემ ამხ. დარჩიამ ვალდებულება იკისრა აითვისოს მემანქანე ლუნინის მოწინავე მეთოდი — გაადიდოს სასამსახურო რემონტის პუნქტები, რაც საორთქმავლო ბრიგადების ძალებით სრულდება, და მიაღწიოს ორთქმავლის გარეცხვის დროს მისა გაცდენის მაქსიმალურად შემცირებას.

ბათუმის საქონლის სადგურის კოლექტივმა პირობა დასდო არ დაუშვას მშრალტვირთიანი ვაგონების გაცდენა და 120 პროცენტით შეასრულოს დატვირთვის გეგმა. მოწინავე მევაგონეებმა—ბრიგადირმა ამხ. ორაგველიძემ, ზეინკალმა ამხ. ვაგუამ და დურგალმა ამხ. მახარაძემ, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ, 21 დეკემბერს, ერთი ვაგონის ნაცვლად, საშუალო რემონტი გაუკეთეს 2 ვაგონს და, ნორმით გათვალისწინებული ერთი ვაგონის ნაცვლად, 2 ვაგონი გადაჭარბეს. ფოთის კვანძის მემანქანემ ამხ. ნებიერიძემ ვალად იდო 150 პროცენტით შეასრულოს საწარმოო გეგმა, დაზოგოს 15 პროცენტი სათბობი და მემანქანე ლუნინის მეთოდით იმუშაოს. შორაპნის საორთქმავლო დეპომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სამტრედიის, თბილისისა და ქუთაისის საორთქმავლო დეპოები. მოწინავე მემანქანეებმა ამხ. კვირკველიამ და გუმბერიძემ ვალდებულება იკისრეს დაზოგონ 20 პროც. სათბობი. (საქდესი).

ᲡᲐᲙ. Კ. Პ. (Ბ) XVIII ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ - ტექნიკოსები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას საკ. კ. პ. (ბ) XVIII საკავშირო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

საამქროებსა და ბრიგადებს შორის საკ. კ. პ. (ბ) XVIII საკავშირო კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა.

სტახანოველები — ა. ჩიკვაიძე, ა. ანასტასიევა, ლ. აბაშიძე, მ. გრიგორიანი, მ. გელაშვილი, ვ. მურადოვი და სხვ. გეგმას ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ეს ამხანაგები საკ. კ. პ. (ბ) XVIII საკავშირო კონფერენციის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და ვალდებულება იკისრეს მაღალხარისხოვნად შეასრულონ გეგმა.

იმ აგრეგატის ახალგაზრდა მუშებმა, რომელსაც კომკავშირელი ბრიგადირი ამხ. ქენია მანჯგალაძე ხელმძღვანელობს, პირობა დასდეს 110 პროც. შეასრულონ იანვრისა და თებერვლის 15 დღის გეგმა. კონფერენციის გახსნის დღისათვის — 15 თებერვლისათვის — ბრიგადის ყველა წევრები ჩააბარებენ სქთ-ს, მშთ და მსთ პირველი საფეხურის ნორმებს. (საქდესი).

ტყიბული, (საქდესი). ცნობამ XVIII პარტკონფერენციის მოწვევის შესახებ დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია ტყიბულის მაღაროელთა შორის. მაღაროებში გაიშალა კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ჩაებნენ მოწინავე სტახანოველები, ბრიგადირები, ცვლები და უბნები.

სტალინის სახელობის მაღაროში ამხ. პ. ნანიკაშვილის უბანმა 24 დეკემბერს დღიური დავალება 202 პროცენტით შეასრულა.

დიდ წარმატებებს აღწევს ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. აქ წინ არის სამთო ტექნიკოსის ამხ. ცერცვაძის უბანი, რომელმაც თვიური გეგმა 25 დეკემბერს შეასრულა. ამავე დღეს შეასრულეს თვიური საწარმოო დავალება გ. როინიშვილის, ვოლჩევის და სხვათა ცვლებმა. ახალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევენ მაღაროს სტახანოველები. 25 დეკემბერს ამხ. დ. ფერაძემ ნორმა 330 პროცენტით შეასრულა, კ. გაბელაშვილმა — 354 პროცენტით. ორმაგად და უფრო მეტად შეასრულეს ნორმები სტახანოველებმა — ამხ. გვენეტაძემ, გაბაძაძემ, ცირეკიძემ და სხვებმა.

წულუკიძე, (საქდესი). 26 დეკემბერს წულუკიძის სახელობის ძაფსალებ ფაბრიკაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრება, რომელიც მიეძღვნა საკ. კ. პ. (ბ) XVIII საკავშირო კონფერენციის მოწვევას.

ფაბრიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. პირველმა სექციამ შეჯიბრებაში გამოიწვია მეორე სექცია. პირველმა ბრიგადამ — ყველა ბრიგადა.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲩᲐᲔᲑᲜᲔᲜ XVIII ᲞᲐᲠᲢᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ

თბილისის რაიონი („კომუნისტის" კორ.). თბილისის რაიონის კოლმეურნეობებს შორის ფართოდ გაიშალა XVIII პარტიული კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. ავჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ აიღო ვალდებულება სანიმუშოდ გამოაზამთროს პირუტყვი, უნაკლოდ ჩაატაროს დოლი, XVIII პარტკონფერენციის გახსნის დღისათვის შეასრულოს 1941 წლის პირველი კვარტალის რძის ჩაბარების სახელმწიფო ვალდებულება და საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა.

სოფ. დიღმის ლენინისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა, რომლებიც ჩაებნენ ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს: 1941 წლის 15 თებერვლისათვის ორმაგად შეასრულონ ხეხილისა და ვენახის საგაზაფხულო რგვის გეგმა, მთლიანად შეინარჩუნონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნამატი, ხბოთა ცხვრისა და თხის — 98 პროცენტით, ამავე დროს გაადიდონ მოსავლიანობა: პამიდორისა თვითეულ ჰექტარზე 27 ტონამდე, კიტრისა — 17 ტონამდე, ჭარხლისა — 30 ტონამდე და ყურძნისა (ურწყავზე)—4,5 ტონამდე.

სოფ. მარტყოფის კოლმეურნეობებმა ვალდებულება აიღეს წელსვე დაამთავრონ საცხენისის ხევიდან წყლის არხის გაყვანა 7 კილომეტრზე, რომელიც 500 ჰექტარ ახალ ფართობს შემატებს კოლმეურნეობებს. 26 დეკემბერს 400-ზე მეტი კოლმეურნე უკვე გავიდა სამუშაოდ არხის მშენებლობაზე.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲝᲛᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ბერლინი, 27 დეკემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო აქვეყნებს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას: „მაშინ, როდესაც გერმანიის ავიაციის შობის მეორე დღის—26 დეკემბრის განმავლობაშიც არ მოუხდენია არავითარი თავდასხმა ინგლისზე, ინგლისის თვითმფრინავებმა ამ დღეს და 26 დეკემბერს ღამით ყუმბარა დააყარეს აეროდრომებს, სანავსადგურო ნაგებობებსა და ქალაქებს ოკუპირებულ საფრანგეთში. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. სამხედრო ობიექტები არ დაზარალებულა. ჩამოგდებულია ინგლისის ერთი თვითმფრინავი. 27 დეკემბერს დილით შორსმსროლელმა არტილერიამ დაუშინა მტრის გემებს ლა-მანშში".

როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გერმანიის შორსმსროლელმა არტილერიამ დღეს დილით წარმატებით დაუშინა მტრის გემებს ლა-მანშში და დუვრის ნავსადგურს.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ლონდონი, 27 დეკემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 26 დეკემბერს საღამოს გერმანიის ავიაცია ინგლისში არ გამოჩენილა. 24—26 დეკემბრის განმავლობაში დღის ოპერაციები ერთობ უმნიშვნელო იყო. ინგლის-გერმანიის საჰაერო ფრონტზე ამ უკანასკნელი სამი დღე-ღამის განმავლობაში დამყარებული სიწყნარე ყველაზე ხანგრძლივია იმის შემდეგ, რაც მტრის ავიაციამ მასობრივი თავდასხმა დაიწყო ინგლისზე.

25 დეკემბერს პა-დე-კალეს სრუტეში მეტად შესაფერისი ამინდი იყო შემოსევისათვის. დაწყნარებულ ზღვაზე ნისლი იდგა. იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანელებს ყოველ წუთში შეეძლოთ დაეწყოთ შემოსევა, საყარაულო რაზმები ერთიორად იყვნენ გაძლიერებული, შორსმსროლელ ქვემეხთა ბატარეების გუნდები მზად იყვნენ, საზღვაო პატრულის ხომალდები ზვერვითს სამსახურს ეწეოდნენ დღისით და ღამით.

დღეს დილით გერმანიის შორსმსროლელმა ქვემეხებმა, რომლებიც დადგმული არიან საფრანგეთის სანაპიროზე, კვლავ ხანგრძლივად დაუშინეს დუვრის რაიონს, რაც ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში პირველი შემთხვევა იყო. მსხვერპლი და მატერიალური ზარალი არ ყოფილა.

ᲝᲛᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ლონდონი, 27 დეკემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუშინ ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალთა სარდლობას არავითარი კომუნიკე არ გამოუქვეყნებია. აღნიშნავენ, რომ სარდლობამ გადასწყვიტა 25 დეკემბერს თავი შეეკავებინა მტრის ტერიტორიის ბომბარდირებისაგან. ამ დღეს ავიაციის მოქმედება მარტო საზვერავი ფრენით განისაზღვრებოდა.

სუდანის ფრონტზე ინგლისელთა ნაწილები სულ უფრო აქტიურად მოქმედებენ კასალის სექტორში. ისინი მტერს უკან ახევინებენ საზღვრისაკენ მთელი სასაზღვრისპირა ხაზის გასწვრივ და საფრებს აწყობენ მტრის წინააღმდეგ. კასალისა და ჩრდილოეთ აბისინიის შესანარჩუნებლად იტალიელებმა ქასრასა და აგორდატში (ერიტრეა) თავი მოუყარეს დიდ არმიას, იტალიელთა ჯარი თავმოყრილია აგრეთვე გონდარისა და ტანის ტბის ირგვლივ და ადის-აბების რაიონში.

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ინგლისელები განუწყვეტელი ბომბარდირების საშუალებით იტალიელებს იძულებულს ხდიან, რომ ბარდიის ირგვლივ მდებარე სიმაგრეთა ხაზიდან ნელ-ნელა დაიხიონ თვით ქალაქისაკენ. ინგლისელებმა ბარდიის მისასვლელებში დარჩენილ 8-მილიან ზონას ალყა შემოარტყეს და გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებიან. ბარდიის რაიონში ინგლისელებს განუწყვეტლივ მისდით მაშველი ძალები.

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲨᲘ

ათენი, 27 დეკემბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინდელმა წარმატებითმა ადგილობრივმა ოპერაციებმა ხელი შეუწყეს საბერძნეთის ჯარის შემდგომ წინსვლას და მტრის ახალი პოზიციების დაკავებას. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და სამხარი მასალის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

საბერძნეთის შიდა რაიონებში გუშინდელმა დღემ მშვიდად ჩაიარა.

ბელგრადი, 27 დეკემბერი (საქდესი). გაზეთ „პოლიტიკის" ცნობით, შობის დღესასწაულების დროს საომარი ოპერაციები ფრონტზე არ შეუჩერებიათ.

ფრონტის სამხრეთ ნაწილში, ხიმარის ჩრდილოეთით, ბერძნების ჯარი კვლავ მიიწევს პოზიციებისაკენ, რომლებიც იტალიელებმა დასტოვეს შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ.

საბერძნეთის საჰაერო ძალები აქტიურად თანამშრომლობდნენ სახმელეთო ჯართან და მცირე სიმაღლიდან ყუმბარას უშენდნენ მტრის ბატარეებსა და სატყვიამფრქვევო ბუდეებს. ინგლისის ავიაცია რამდენჯერმე დაესხა თავს იტალიელთა ჯარის ზურგს და ყუმბარა დაუშინა იტალიელთა ჯარის კომუნიკაციებსა და კოლონებს, რომლებიც ფრონტისაკენ მიიწევდნენ.

ბერძნების ჯარი არგიროკასტრონიდან უტევს ტეპელენეს, ხიმარიდან კი ვალონასა და ბერატს.

იტალიელთა ნაწილები მნიშვნელოვან სტრატეგიულ მაღლობებზე გამაგრდნენ, ბერატისა და ვალონის მახლობლად. მიღებული ცნობებით, იტალიელებს აქ უნდა მიუვიდეთ ახალი მაშველი ძალები.

როგორც გაზეთი „ვრემე" იუწყება, 25 და 26 დეკემბერს ტეპელენესა და კლისურასთან მდებარე სექტორში სასტიკი ბრძოლა იყო. ბერძენთა ჯარი უშიშრად გადადის შეტევაზე.

გეგმების შესრულება

საქართველოს საფეიქრო მრეწველობამ შეასრულა 1940 წლის გეგმა

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა 26 დეკემბერს პირველ ცვლაში დაამთავრეს 1940 წლის საწარმოო გეგმის შესრულება საერთო პროდუქციის გამოშვების ნაწილში (100,1 პროც.).

გამოშვებულია: აბრეშუმის ქსოვილები—5.187.000 მეტრი, შალის ქსოვილები — 1.375.000 მეტრი, ამოღებულია 302 ტონა აბრეშუმის ძაფი (გრეჟა), დამზადებულია 446,5 ტონა ბამბის ნართი და 2.554 ტონა სატანისამოსე და ჰიგროსკოპიული ბამბა, დამუშავებული და გამოშვებულია 228 ტონა ჩაინა-გრასი (რამის კულტურისაგან მიღებული პროდუქცია).

შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიური გეგმა საფეიქრო მრეწველობაში შესრულებული იყო 1 დეკემბრისათვის (ვადაზე ერთი თვით ადრე). წლიური სოციალისტური დაგროვების გეგმა შესრულებულია 11 თვეში 113,7 პროცენტით.

1941 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მუშებმა იკისრეს ქვეყანას მისცენ კიდევ დამატებით 300.000 მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 20.000 მეტრი შალის ქსოვილები და 16 ტონა ბამბის ნართი.

ბრწყინვალე გამარჯვება

ფოთი, (საკ. კორ.). ფოთის ნავსადგური (უფროსი—ამხ. კ. რეკვავა) გასული სა ი წლის მანძილზე სისტემატურად ჩამორჩებოდა გეგმების შესრულებაში. მიმდინარე წელი აქ დიდი მონდომებით დაიწყო, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, მუშაობაში მტკიცედ დაინერგა ბლიდმანური მეთოდი, მაქსიმალურად გამოყენებულ იქნა მექანიზაცია, რის შედეგადაც ნავსადგურმა წლიური გეგმა 21 დეკემბრისათვის 107 პროცენტით შეასრულა. გასულ წელთან შედარებით ტვირთბრუნვა 10,3 პროცენტით გაიზარდა.

წლიური გეგმის შესრულებაში პირველ ადგილზე გამოვიდა მეორე საწარმოო რაიონი (უფროსი—ტ. შავგულიძე), რომელმაც 21 დეკემბრის დილის 7 საათზე წლიური გეგმა 100 პროცენტით შეასრულა. ამ რაიონში გეგმის შესრულებისათვის ენერგიულად იბრძოდნენ ამხ. ბ. აბურჯანიას და ი. გაბელიას ბრიგადები, რომლებიც გეგმას სისტემატურად 150-200 პროცენტით ასრულებენ, მეამწეები—კ. ზარქუა (გეგმას ასრულებს 200 პროცენტით), შ. აბურჯანია (170-200 პროც.), ან. დუმბაძე და სხვ.

23 დეკემბერს წლიური გეგმა შეასრულა ნავსადგურის პირველმა საწარმო რაიონმაც (უფროსი—ამხ. ი. ტერიატნიკოვი). აქ წლიური გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს მტვირთავმა ბრიგადებმა, სახელდობრ: № 6 (ბრიგადირი—მ. ბოიკო), № 8 (ბრიგადირი—მ. შულეშკო), № 11 (ბრიგადირი—გ. კირიჩენკო), № 14 (ბრიგადირი — ს. ბოჯგუა). საუკეთესო შედეგები მოგვცეს ტრანსფორმატორზე მომუშავე მექანიკოსებმა: კომკავშირელმა ქენია ბობოხმა, ფ. ტკაჩენკომ, ა. სვანიძემ, ნ. ხუბულავამ და სხვ.

ფოთის ნავსადგურში წლიური გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულების საქმეში დიდი როლი ითამაშა, როგორც აღვნიშნეთ, მექანიზაციამ. გეგმით გათვალისწინებული იყო მექანიზაციით სამუშაოთა 85 პროცენტის შესრულება, ფაქტიურად კი მთელი ჩატარებული მუშაობის 90 პროცენტი შესრულებულია მექანიკური საშუალებებით.

ნავსადგურის მუშათა კოლექტივმა საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით ახალი ვალდებულებები აიღო.

კ. ტაბაღუა

ვადაზე 5 დღით ადრე

თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა საგრძნობი წარმატებებით ეგებება ახალ სამეურნეო წელს. 25 დეკემბრისათვის ქარხანამ წლიური გეგმის გადამეტებით დაამზადა 182,7 ტონა პროდუქცია. წლიური გეგმა შესრულებულია 104,8 პროცენტით.

გეგმით ქარხანას უნდა გაესაღებინა 17.567,5 ათასი მანეთის თამბაქოს პროდუქცია, გასაღებულია 17.973,5 ათასი მანეთისა, რაც წლიური გეგმის 102,4 პროცენტს შეადგენს.

წელს დიდად გაიზარდა სტახანოველთა რიცხვი. 1940 წლის 1 იანვრისათვის 63 სტახანოველი იყო, ახლა მათი რიცხვი თითქმის ერთიორად გაიზარდა. 102 სტახანოველმა, რომლებიც სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას, დიდი წარმატება მოუპოვა ქარხანას. (საქდესი).

ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში

ქუთაისი, (საქდესი). ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა წარმატებით ხვდება ახალ წელს. ფაბრიკამ 25 დეკემბერს 100,2 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა, შრომის ნაყოფიერება 12,1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 1,4 პროცენტით შემცირდა.

ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშათა კოლექტივი საჩუქრებს უმზადებს დედა-სამშობლოს. ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 60.000 მანეთის პროდუქცია.

რძის ქარხანამ წლიური გეგმა შეასრულა

თბილისის რძის ქარხანამ წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა. 20 დეკემბრისათვის მან გამოუშვა 1.252.200 მანეთის მზა პროდუქცია (1926-27 წლის უცვლელი ფასებით), დავალება კი შეადგენდა 1.222.700 მანეთის პროდუქციის გამოშვებას. ქარხანა მომსახურებას უწევს 500-ზე მეტ საბავშვო დაწესებულებას, ამარაგებს მათ რძით, არაჟანით და სხვა პროდუქტებით. მომავალ წელს ქარხნის მიერ რძის პროდუქციის დამზადების რაიონი მნიშვნელოვნად გაფართოვდება. დამზადება იწარმოებს 10 რაიონში, ახლა კი მხოლოდ 4 რაიონში სწარმოებს (საქდესი).

გეგმის 143 პროცენტი

ქუთაისი, (საქდესი). ქუთაისის გრენის ქარხანამ ჰიბრიდული თესლის დამზადების გეგმა დიდი გადამეტებით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 38.000 კოლოფის ნაცვლად დამზადებულია 54.720 კოლოფი, რაც გეგმის 143 პროცენტს უდრის.

ელდარის საბჭოთა მეურნეობაში

წითელ - წყარო, (საქდესი). რესპუბლიკის ერთერთი უდიდესი საბჭოთა მეურნეობა — ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. ე. ახვლედიანი) წარმატებით ამთავრებს მიმდინარე სამეურნეო წელს. მან მთლიანად შეასრულა სახელმწიფოსათვის მატყლის, ხორცისა და რძის ჩაბარების გეგმები. ლაგოდეხის, თელავის, დუშეთისა და მცხეთის რაიონების კოლმეურნეობებს გადაეცა „რამბულიეს" ჯიშის 3.513 ცხვარი.

საბჭოთა მეურნეობამ საკუთარი სატრაქტორო პარკით მზრალად მოხნა 1.220 ჰექტარი, გეგმა გადამეტებით შეასრულა და თვითეულ ჰექტარზე დაზოგა 3 კილოგრამი საწვავი მასალა.

დიდი მუშაობა ჩატარდა ცხვრის ჯიშის გასაუმჯობესებლად. საბჭოთა მეურნეობას ჰყავს 41.000 ცხვარი აქედან 25.341—მეტისია. მეურნეობა მთლიანად გადასულია ხელოვნურ დანერგვაზე.

ეს წარმატებები მოპოვებულია მეურნეობის მთელი კოლექტივის ენერგიული და ოპერატიული მუშაობით. მეცხვარეობის ფერმების გამგეებად, ბრიგადირებად, მწყემსებად მუშაობენ მეტად გამოცდილი ადამიანები. მეორე ფერმის ბრიგადირია კომუნისტი ამხ. დავით სეხნიაშვილი. ამ ბრიგადამ მატყლის ჩაბარების გეგმა შეასრულა 150 პროცენტით, რძისა—189 პროცენტით და ნამატი მთლიანად შეინარჩუნა. ამხ. ლადო ჯარიაშვილის ბრიგადამ (პირველი ფერმა) დიდი გადამეტებით შეასრულა მატყლისა და რძის ჩაბარების გეგმა.

საზაფხულო საძოვრებიდან შირაქში საქონლის გადარეკვის დროს ბრიგადას არცერთი ცხვარი არ დაჰკლებია. საუკეთესოდ მუშაობენ მწყემსები ამხ. იბრაჰიმ ბაირამ-ოღლი, იბრაჰიმ მუსტაფაოღლი, ადო ზედელაშვილი, სოიუნ გაულო იბრაჰიმ-ოღლი, ისკენდერ ოჯახვერდ-ოღლი, ივანე ცისკარიშვილი, გიგა დილმელაშვილი და მრავალი სხვ.

სტახანოველი ტრაქტორისტები ამხ. ნ. მიასიშჩევი, თ. ელიოზიძე, მ. შევჩენკო, ი. კობეცი, ვ. გარპენჩენკო მზრალად ხვნის დროს, ნაცვლად 4,8 ჰექტარისა, დღეში 8 ჰექტარს ხნავდნენ.

ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში დიდი მუშაობა ჩატარდა საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. მეურნეობა 40 კილომეტრით არის დაშორებული რაიონულ ცენტრს — წითელ წყაროს. მისი ცალკე ფერმები დიდი მანძილით არიან ერთმანეთს დაშორებულნი. ფერმებთან აგებულია 27 საცხოვრებელი სახლი, შენდება კიდევ ორი. საბჭოთა მეურნეობასთან გახსნილია არასრული საშუალო სკოლა, არსებობს კლუბი, ამბულატორია, აფთიაქი, სასადილო, კოოპერატივი, ელექტროსადგური. იგება შენობები საავადმყოფოსათვის, საბავშვო სახლისა და ბაგისათვის.

იწყობა დამხმარე მეურნეობა 10 ჰექტარზე. მომავალ წელს საბჭოთა მეურნეობას ექნება საკუთარი ბოსტნეული და კარტოფილი.

შედგენილია საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიის გამწვანების გენერალური გეგმა. 1941 წლის გაზაფხულზე დაირგვება 10.000 ძირი ხეხილი.

განვაგრძოთ სოციალისტური შეჯიბრება 1941 წელს!

ტყიბულის მაღაროელთა წერილი დონბასის „ორჯონიკიძეუგოლის" ტრესტის მაღაროელებისადმი

ძვირფასო ძმებო, მეგობრებო და ამხანაგებო!

თავისუფალი და ბედნიერი საბჭოთა ხალხები კმაყოფილების გრძნობით აცილებენ დიად სტალინურ გამარჯვებათა 1940 წელს და მძლავრი საწარმოო აღმავლობით ეგებებიან მომავალ 1941 წელს.

საბჭოთა ხალხები, თავისი დიადი სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით გამსჭვალულნი, მტკიცე, გიგანტური ნაბიჯით მიდიან წინ, კომუნიზმის მოკაშკაშე მწვერვალებისაკენ ხალხთა დიდი ბელადის ჩვენი მშობლიური და საყვარელი მასწავლებლის, ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

მძლავრი საბჭოთა ხალხის გზა დიად გამარჯვებათა გზაა. ყოველ ახალ წელს ახალ-ახალი გამარჯვება მოაქვს ჩვენი სამშობლოს სასახელოდ.

1940 წელი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ისტორიაში შევა, როგორც დიად გამარჯვებათა წელი. სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში მიღწეულია უდიდესი წარმატებანი. მნიშვნელოვნად განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება. 1940 წელს საბჭოთა რესპუბლიკების თანასწორუფლებიან და თავისუფალ წევრთა ოჯახს შემოემატა ხუთი ახალი რესპუბლიკა — კარელია-ფინეთისა, მოლდავეთისა, ლიტვისა, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

სამი წელია, რაც წარმატებით ეჯიბრებიან ერთმანეთს მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის ორი მოძმე რესპუბლიკის — უკრაინისა და საქართველოს მაღაროელები.

ტყიბულის მაღაროელებს მაღლა უჭირავთ დონბასელ ძმებთან სოციალისტური შეჯიბრების დროშა, ამ დროშის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, **ლენინ - სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევენ დიდი **სტალინის** დავალების ბოლშევიკურად შესრულებისათვის, რათა ადგილობრივი ქვანახშირით იქნას უზრუნველყოფილი საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის ფაბრიკა-ქარხნების მოთხოვნილება.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ გვინდა გაგიზიაროთ ჩვენი სიხარული და გაცნობოთ, რომ ტყიბულის მაღაროელებმა წარმატებით დაამთავრეს 1940 საწარმოო წელი. თქვენთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი შესრულებულია ღირსეულად და პირნათლად, ბოლშევიკურად, ისე როგორც ეს სტალინური მზრუნველობით აღფრთოვანებულ საბჭოთა მაღაროელებს შეჰფერით.

23 დეკემბერს—ვადაზე 8 დღით ადრე—ტყიბულქვანახშირის ტრესტმა წარმატებით შეასრულა წლიური გეგმა. მაღაროელთა კოლექტივი მტკიცე სიტყვას იძლევა, რომ წლიური გეგმის გადამეტებით მისცემს ჩვენს ქვეყანას სულ ცოტა 10.000 ტონა ქვანახშირს.

დონბასელ ძმებთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ჩვენი ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის 12 დეკემბრისათვის შესრულება. როგორც ყოველთვის, ლენინელებმა ახლაც პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება.

ასევე წარმატებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც წლიური დავალება გაანაღდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წლისთავზე. ორივე მაღაროს კოლექტივი იბრძვის, რათა გეგმის გადამეტებით მისცეს ქვეყანას ასობით ტონა ქვანახშირი.

ნოემბერში ტყიბულქვანახშირის ტრესტმა შრომის ნაყოფიერების გეგმა 121 პროცენტით შეასრულა. ტონა ქვანახშირის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით, შემცირებულია 11,6 პროცენტით, ქვანახშირის ხარისხი დაწესებულ სტანდარტთან შედარებით გაუმჯობესებულია 7,1 პროცენტით.

კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებლები აქვს ლენინის სახელობის მაღაროს, რომელიც წარმატებით ეჯიბრება დონბასის „ორჯონიკიძეუგოლის" ტრესტის № 4 მაღაროს „კრასნი ოქტიაბრის" კოლექტივს.

მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის ბრძოლაში სტახანოველთა და დამკვრელთა შესანიშნავი კადრები აღიზარდნენ. ტყიბულის მაღაროების მოწინავე ადამიანებს მადლობის გრძნობით გადმოაქვთ დონბასის მოძმე მაღაროელთა მუშაობის გამოცდილება, სტახანოვური შრომის ახალი მეთოდები და ფართოდ ნერგავენ ჩვენს მაღაროებში. სოციალისტურ ტყიბულში ფართოდ გავრცელდა ცნობილი სტახანოველი მბურღავი — ალექსი სემივოლოსის მეთოდი — მრავალსანგრევში მუშაობა. 60-ზე მეტი მბურღავი მუშაობს ახლა ტყიბულში ალექსი სემივოლოსის მეთოდით. ჩვენი მრავალსანგრევოსნები შრომის ნაყოფიერების ბრწყინვალე მაგალითებს იძლევიან. ლენინის სახელობის მაღაროს მოწინავე მბურღავმა, კომუნისტმა ამხ. ალ. გიორგაძემ, რომელიც სამ სანგრევში მუშაობდა, ცვლაში 30 ტონის ნაცვლად 100 ტონა ქვანახშირი მოანგრია. კიდევ უფრო უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწია სანგრევის წინსვლაზე ამავე მაღაროს მედალოსანმა მბურღავმა ამხ. ს. სიჩოვმა; მან 11 სანგრევში მუშაობისას 11,8 გრძივი მეტრი მოანგრია და დღიური ნორმა 792 პროცენტით შეასრულა.

ასეთ წარმატებებს ტყიბულქვანახშირის ტრესტმა მიაღწია მოწინავე ადამიანების ამხ. დ. ფერაძის, ვ. გაბადაძის, ჟ. ობოლაძის, ა. ქათამაძის, ს. სიჩოვის, შ. ფურცხვანიძის, ლ. ცქიფურიშვილის, ვ. ცერეკიძის, დ. ტრუფანოვის, ი. გვენეტაძის, ა. პოლუხინის, ა. ქასრაძის, ალ. გიორგაძის, მ. ალფაიძის, ე. სვეტენკოს და მრავალი სხვების გულმოდგინე მუშაობით. ბევრ მათგანს წლიური ნორმა დღისათვის 200 პროცენტით და უფრო მეტადაც აქვს შესრულებული.

მაგრამ ჩვენ, მაღაროელებს, უფლება არა გვაქვს თვითკმაყოფილებას მივეცეთ. საჭიროა კიდევ უფრო უკეთესად მუშაობა, საჭიროა კიდევ უფრო გავადიდოთ ქვანახშირის ამოღება.

ამ შეგნებითა და მტკიცე რწმენით ვიწყებთ ჩვენ მომავალ 1941 წელს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, 1941 წლის 15 თებერვლისათვის მოწვეულია XVIII პარტიული კონფერენცია. კონფერენციის მოწვევა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა ბოლშევიკური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელნი მძლავრი საწარმოო აღმავლობით ძვირფასი შრომითი საჩუქრებით უხვდებიან XVIII პარტიული კონფერენციის მოწვევას, კიდევ უფრო აფართოებენ სტახანოვურ მოძრაობას—მთელს ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენ, სოციალისტური ტყიბულის მაღაროელები, ამ შესანიშნავი შეჯიბრების პირველ რიგებში ვიქნებით.

საქართველოს მშრომელებმა, ხალხის მოღალატე მენშევიკებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს ნანგრევებად და ფერფლადქცეული, ეკონომიურად სავსებით განადგურებული და დაცემული ქვეყანა. 20 წლის განმავლობაში დიდი რუსი ხალხის დახმარებით, **ლენინ-სტალინის** პარტიის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად მეგობრულ ოჯახში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ბედნიერი ქართველი ხალხი მთელ თავის მიღწევებს უმადლის **ლენინ-სტალინის** დიად პარტიას, მშობლიურ და საყვარელ იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს** და მის ერთგულ მოწაფეს, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას**, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ბოლშევიკებს.

ჩვენ მოგმართავთ გულითადი, ძმური თხოვნით: გვესტუმრეთ, ძვირფასო ამხანაგებო 1941 წლის 25 თებერვალს და ერთად აღვნიშნოთ ქართველი ხალხის განთავისუფლებისა და გამარჯვების დიადი ზეიმი — საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავი, შევამოწმოთ 1940 წლის მუშაობის შედეგები, დავსახოთ ღონისძიებანი 1941 წელს უკეთ მუშაობისათვის. ჩვენ მოგითხრობთ ჩვენს წარმატებებს, გაგაცნობთ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს. თქვენ ნახავთ, თუ რა შესანიშნავად გაიფურჩქნა და აყვავდა საბჭოთა საქართველო —დიდი **სტალინის** სამშობლო — სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელი მზის ქვეშ, თუ როგორ გადაიქცა იგი დიდი სოციალისტური სამშობლოს ბრწყინვალე მარგალიტად.

ჩვენ მოწოდებით მივმართავთ საბჭოთა საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებისა და საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველებსა და დამკვრელებს: მოვაწყოთ საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, ახალ-ახალი საწარმოო გამარჯვებით შევხვდეთ სახელოვან წლისთავს. სტახანოვური შეხვედრა მოვუწყოთ ჩვენს ძვირფას სტუმრებს—უკრაინელ ძმებსა და დებს, რომლებიც ჩვენთან ერთად იზეიმებენ შესანიშნავ წლისთავს.

ჩვენ, ვკისრულობთ ჩვენის მხრივ: 1941 წელს 102 პროცენტით შევასრულებთ ქვანახშირის ამოღების გეგმას, 1940 წელთან შედარებით 5 პროცენტით გავზრდით შრომის ნაყოფიერებას და ამდენივე პროცენტით შევამცირებთ თვითღირებულებას. დაწესებულ სტანდარტთან შედარებით სულ ცოტა 3 პროცენტით შევამცირებთ ქვანახშირის ნაცრიანობას.

მოწოდებით მოგმართავთ დონბასის „ორჯონიკიძეუგოლის" ტრესტის მაღაროელებს: 1941 წელსაც განვაგრძოთ სოციალისტური შეჯიბრება მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის!

მოგილოცავთ ახალ, 1941 წელს, ძვირფასო ამხანაგებო, და გისურვებთ ახალ-ახალ გამარჯვებას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად!

გაუმარჯოს ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს მოძმე და მეგობრულ უკრაინელ ხალხს!

გაუმარჯოს უკრაინის ბოლშევიკების სტალინურ ხელმძღვანელს —ამხანაგ **ხრუშჩოვს!**

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, საბჭოთა დაზვერვის სტალინურ ხელმძღვანელს —ამხანაგ **ლ. პ. ბერიას!**

გაუმარჯოს მთელი მშრომელი კაცობრიობის ბრძენ ბელადს — ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ადამიანს—ამხანაგ **სტალინს!**

საქართველოს სსრ ტყიბულქვანახშირის ტრესტის მაღაროელთა დავალებითა და სახელით: ტრესტის მმართველი **დ. ჩიკვაიძე**, საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი **შ. ჭანუყვაძე**, ტრესტის მთავარი ინჟინერი—**ი. მაღლაშვილი**, ქვანახშირის მუშაკთა პროფესიული კავშირის რაიკომის თავმჯდომარე **ა. ჩიტიძე**.

ლენინის სახელობის მაღაროს გამგე **გრ. გორგიძე**, ლენინის სახელობის მაღაროს მთავარი ინჟინერი **ფ. ნაჭყებია**, პარტბიუროს მდივანი **ირ. გორგიძე**.

სტალინის სახელობის მაღაროს გამგე **აკ. კუბლაშვილი**, სტალინის სახელობის მაღაროს მთავარი ინჟინერი—**ვ. იოსელიანი**, პარტბიუროს მდივანი—**ვ. ნანიკაშვილი**.

გელათის მაღაროს გამგე **პ. ლებანიძე**.

სტახანოველები ორდენოსნები — **ვ. ცირეკიძე, ქ. ბეშკენაძე, მ. ჩხიკვაძე**, მედალოსნები: **შ. ფურცხვანიძე, დ. ტრუფანოვი, ს. სიჩოვი**, მრავალდაზგოსნები: **დ. სუქნიძე, შ. კახიძე, დ. ფერაძე, ვ. გაბადაძე, ალ. გიორგაძე, მ. ალფაიძე, ა. ქათამაძე, ე. ობოლაძე, ი. გვენეტაძე, მ. ვოიტენკო.** (საქდესი).

შირაქის ველზე

წითელ-წყარო, (საქდესი). საქართველოს საუკეთესო ზამთრის საძოვრებზე — შირაქის ველზე, რომელიც რამდენიმე ას კილომეტრზეა გადაჭიმული ალაზანსა და იორს შორის, ზამთრობს სიღნაღის, წითელ-წყაროს, თელავისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების 300 ათასამდე სული ცხვარი.

შირაქის სამხრეთ ნაწილში საზამთროდ იმყოფება საქართველოს მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და დაღისტნის საქართველოს მოსაზღვრე რაიონების ცხვრის ფარა.

მდინარე იორის მახლობლად, ჰაჰუნის მიდამოებში, მოწყობილია სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ზამთრის სადგომი. ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოლმეურნეობამ დიდი მუშაობა გაწია დაზამთრებას ადგილის კეთილმოსაწყობად. ამჟამად აგებულია ქვის შენობები. ამ შენობებში მოწყობილია რადიო, ბიბლიოთეკები და წითელი კუთხეები. პირუტყვისათვის აგებულია ფართო ბინები. შირაქის ველზე ზამთრობს ამ კოლმეურნეობის 11 ათასი ცხვარი და 120 ძროხა. პირუტყვი სავსებით უზრუნველყოფილია საკვებით. ცხვრის ფარას უვლიან სტახანოველი მწყემსები იოსებ კოკაშვილი და ავეზა ჩუთლაშვილი — 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი. გამოფენამ მათ დიდი გამოცდილება მისცა, შეაიარაღა ძვირფასი ცოდნით, რასაც ისინი წარმატებით უყენებენ ყოველდღიურ მუშაობაში.

მთელი ჩვენი ყურადღება იქითკენ არის მიპყრობილი, — ამბობს მწყემსი ავეზა ჩუთლაშვილი, რომ მოვემზადოთ დოლისათვის, — ვათავრებთ ბატკნების ბინების რემონტს, ვამზადებთ საგუბებს, მოგვაქვს კონცენტრატები, მოგვყავს შესაფერისი კადრები. მომავალი წლის 10-12 თებერვალს დაიწყება დოლი, რასაც სავსებით მომზადებული შევხვდებით.

კოლმეურნეობის ზამთრის სადგომებში გაჩაღებულია ინტენსიური მუშაობა. ზოოტექნიკოსები მწყემსებსა და ბრიგადებს აცნობენ ცხვრის კვებისა და მოვლის წესებს, ესაუბრებიან დოლზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში დიდი მუშაობა არის გაწეული, რათა ზამთრის სადგომები მოემარაგებინათ წყლით. დუშეთის, თელავისა და თიანეთის რაიონის კოლმეურნეობათა სადგომებს წყალსადენები აქვთ. გაყვანილია წყალსადენები წითელ-წყაროს რაიონის კოლმეურნეობათა სადგომებში.

შირაქში გაყვანილია ასობით კილომეტრი ახალი გზა, რაც ერთმანეთთან აკავშირებს ზამთრის სადგომებს. გზები გაყვანილია უახლოეს რაიონულ ცენტრამდე— სიღნაღამდე და წითელ-წყარომდე.

მოწყობილია ფარდულები, სადაც მწყემსებს შეუძლიათ შეიძინონ პირველი საჭიროების საგნები და კვების პროდუქტები; მოგვარებულია პურის ცხობა და სამედიცინო დახმარება. სიღნაღიდან და წითელ-წყაროდან ექიმები რეგულარულად დადიან ზამთრის სადგომებში, სადაც მოწყობილია სამგზავრო აფთიაქები.

საომარი მოქმედება ალბანეთში

ბელგრადი, 26 დეკემბერი (საკდესი). გაზეთი „პოლიტიკა" იუწყება: ოფიციალური წრეები იუწყებიან, რომ ბერძნების შეტევა გრძელდება. ბერძნები უფრო იმას ამჯობინებენ, რომ ქალაქებსა და სოფლებზე გაბატონებული მაღლობები დაიკავონ, ვიდრე შემდგომი შეტევა განაგრძონ იმ რაიონების წინააღმდეგ, სადაც იტალიელებს თავიანთი მოტორიზებული რაზმების გამოყენება შეუძლიათ.

ფრონტიდან მიღებული ცნობების თანახმად, საბერძნეთის ჯარი კლისურის რაიონში სისტემატურად წინ მიიწევს, იგი უკან სტოვებს მათ მიერ დაკავებულ მაღლობებს და ზედიზედ იკავებს გამაგრებულ პოზიციებს. როგორც ადასტურებენ, გუშინ ბერძნებმა ახალი პოზიციები დაიკავეს კლისურთან. ქალაქ ტეპელენესთან გააფთრებული ბრძოლა იყო, რის შედეგადაც იტალიელებმა ახალ პოზიციებზე დაიხიეს.

საბერძნეთის ჯარის ერთი კოლონა მდინარე დევოლის ხეობით უტევს მაჩიანის მიმართულებით, სადაც იტალიელებს საკმაოდ კარგი პოზიციები და კარგად მომზადებული თავდაცვა აქვთ. უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ბერძნები ცდილობდნენ გაერღვიათ იტალიელთა თავდაცვის ხაზი და გასულიყვნენ ქალაქ ლინთან, რომელიც ოხრიდის ტბაზე მდებარეობს, მაგრამ ეს ცდა დღემდე უშედეგო აღმოჩნდა.

საგრძნობლად დათბა. გუშინ ბერძნებმა შეტევა დაიწყეს ლინის მიმართულებით. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ბერძენთა ცალკეულმა მეწინავე რაზმებმა დიდი თოვლით დაფარული ადგილები გადალახეს და იმ პოზიციებს მიუახლოვდნენ, რომლებიც ლინიდან რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობენ. თბილი ამინდის დადგომის გამო გაუარესდა ალბანეთის გზები და მასთან ერთად მეწინავე ნაწილების კავშირი ზურგთან. გზების გასაწმენდად ბერძნებმა ჯარის სპეციალური ნაწილები გამოჰყვეს.

გუშინ ბერძნებმა დიდძალი პროდუქტი და იარაღი მიიღეს. მათ მაშინვე დაიწყეს შეტევა, რაც სერიოზულ ხასიათს იღებს. ორივე მეომარი მხარის არტილერიამ სროლა გააჩაღა.

ტაი და საფრანგეთის ინდო-ჩინეთი

ლონდონი, 26 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბანგკოკელი კორესპონდენტი იუწყება, ტაის კომუნიკეში, რომელიც 25 დეკემბერს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ საფრანგეთის ინდო-ჩინეთისა და ტაის საზღვარზე ბრძოლა გრძელდება. ორივე მხრივ საარტილერიო სროლაა. ტაის არტილერიამ გაფანტა საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ჯარის შეჯგუფებული ნაწილები.

ნიუ-იორკი, 26 დეკემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ბანგკოკიდან იუწყება, ტაის პრემიერ-მინისტრმა ლუანგ ბიპულ სონგრამმა აღნიშნა, რომ ტაის მთავრობა საპასუხო ღონისძიებებს მიიღებს ხოლმე საფრანგეთის ინდო-ჩინეთის იერიშების გამო. მან განაცხადა აგრეთვე, რომ საომარი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ხელისუფალთ, რადგან მათ უგულებელჰყვეს ტაის სამშვიდობო ნაბიჯები.

ტაისა და ინგლისს შორის, — აღნიშნა შემდეგ მან, — დამაკმაყოფილებელი ურთიერთობა არსებობს ბირმის საზღვარზე მდგომარეობის მოწესრიგების გამო.

იაპონიისა და ტაის მეგობრობის ხელშეკრულების შინაარსი

ტოკიო, 26 დეკემბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს შინაარსს იაპონიისა და ტაის მეგობრობის ხელშეკრულებისას, რომელიც 1940 წლის 12 ივნისს დაიდო. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა 23 დეკემბერს ბანგკოკში.

ხელშეკრულება ითვალისწინებს ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემას, ორივ ქვეყანას შორის „მუდმივი მშვიდობიანობისა და საუკუნო მეგობრობის დაცვას" და ურთიერთისთვის ინფორმაციის მიწოდებას ისეთ საკითხებში, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. ერთერთ მხარეზე თავდასხმის შემთხვევაში მეორე მხარე ვალდებულებას კისრულობს არ დაეხმაროს და ხელი არ შეუწყოს თავდამსხმელს.

ხელშეკრულება ხელმოწერილია ხუთი წლის ვადით და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან. თუ ხელშეკრულების აღნიშნული ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე არც ერთი მხარე არ აცნობებს მეორეს, რომ სურს შესწყვიტოს მისი მოქმედება, ხელშეკრულება ძალაში დარჩება შემდეგშიაც და მისი მოქმედება შესწყდება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იმ მომენტიდან, რაც ერთერთი მხარე განაცხადებს, რომ განზრახული აქვს გააუქმოს ხელშეკრულება.

გაზეთ „ულუსის" ცნობა რეფიქ საიდამის გამოსვლის შესახებ

ანკარა, 26 დეკემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „ულუსი" იუწყება, გუშინ მეჯლისის სხდომაზე, რომელიც „ერის დაცვის კანონის" შეცვლას მიეძღვნა, პრემიერი საიდამი გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ 11 თვის არსებობის განმავლობაში ამ კანონმა თუმცა დადებითი, მაგრამ არასაკმაო შედეგები გამოიღო. მთავრობა, — განაცხადა მან,—წელს მრავალ სიძნელეს წააწყდა. ჯერ ერთი, იყო სიძნელე თურქეთიდან საქონლის გატანაში, აგრეთვე მოსახლეობისა და არმიისათვის მარაგის დამზადებაში. ჩვენ,— აღნიშნა საიდამმა, — ვერ შევძელით ამ მარაგის შექმნა. იყო სიძნელე ბაზრის ფასებზე კონტროლის დაწესებაში. ამ მიზნით შექმნილი ორგანიზაცია საკმარისი არ აღმოჩნდა, და საჭირო გახდა შეგვექმნა მთელი აპარატი და ჩაგვება მასში სპეციალისტები. იყო სიძნელე აგრეთვე სპეკულაციასთან ბრძოლაში.

შემდეგ საიდამმა აღნიშნა სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და განაცხადა, რომ საჭიროა ზომების მიღება მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამავე საკითხზე, — იუწყება შემდეგ „ულუსი", — მეჯლისის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა გზათა მინისტრმა. მან სთქვა, რომ, ახალი პროექტის თანახმად, თურქეთის მთავრობას შეუძლია პატრონების თანხმობით გამოიყენოს უცხოელთა ის გემები, რომლებიც დიდიხანია თავს აფარებენ თურქეთის ნავსადგურებს.

გაზეთი „ულუსი" სწერს აგრეთვე, რომ ომი მეტად აძნელებს თურქეთის საგარეო ვაჭრობას, იწვევს სპეკულაციას და მოსახლეობის ტენდენციას — მარაგად შეისყიდოს საქონელი.

თურქეთის „ერის დაცვის" კანონის ზოგიერთი მუხლის შეცვლა

ანკარა, 26 დეკემბერი (საკდესი). გუშინ მეჯლისში განხილულ იქნა კანონპროექტი „ერის დაცვის" კანონის 20 მუხლის შეცვლის შესახებ. მთავარი ცვლილებები შემდეგით გამოიხატება:

ფართოვდება მთავრობის რწმუნებულობანი მეურნეობის ყოველ დარგში. იქმნება სპეციალური დაწესებულებანი, რომელნიც ვაჭრობისა და მრეწველობის საკითხებზე იმუშავებენ მოსახლეობისა და ნაციონალური თავდაცვის საჭიროობის უზრუნველყოფის მიზნით. თურქეთის მთავრობას უფლება აქვს თვითღირებულების ფასად შეისყიდოს ყოველგვარი საქონელი, რომელიც აუცილებელია მოსახლეობისა და ნაციონალური თავდაცვის საჭიროებისათვის. მას შეუძლია აგრეთვე გაჰყიდოს და გაანაწილოს ეს საქონელი. ის საქონელი, რომლის შესყიდვაც განზრახული აქვს მთავრობას, სავალდებულო წესით უნდა ჩაბარდეს მას. მთავრობას შეუძლია თავის ხელთ აიღოს და გამოიყენოს კერძო პირთა კუთვნილი სხვადასხვა მაღარო, ამასთან ამ მაღაროთა მფლობელებს ზარალი აუნაზღაურდებათ. მას შეუძლია აგრეთვე თავის ხელთ აიღოს და გამოიყენოს წისქვილები, სამრეწველო და მეტალურგიული საწარმოები იმ შემთხვევაში, თუ ეს საწარმოები პროდუქციას საჭირო რაოდენობით არ იძლევიან. მთავრობას შეუძლია 3 საათით გაადიდოს სამუშაო დღე და შემოიღოს ღამის მუშაობა საწარმოებში. მთავრობას უფლება ენიჭება დაიკავოს კერძო საწყობები ნაციონალური თავდაცვის საჭიროებისათვის. თუ აუცილებელი გახდა, მთავრობას შეუძლია აკრძალოს ან შეზღუდოს ზოგიერთი საქონლის მოხმარება. მას შეუძლია აგრეთვე დააწესოს საქონლის ზღვრული ფასები, აგრეთვე განსაზღვროს საქონლის ხარისხი და დააწესოს ზღვრული მოგება მისი რეალიზაციის დროს. მთავრობას შეუძლია წარმართოს საგარეო ვაჭრობის ოპერაციები. მას შეუძლია წარმართოს, შეზღუდოს და აკრძალოს ყოველი სახის კერძო ტრანსპორტი, დააწესოს ტვირთზიდვის ზღვრული ფასები და, თუ აუცილებელი იქნება, იყიდოს ტრანსპორტის კერძო საშუალებანი. მთავრობას შეუძლია აგრეთვე შემოიღოს ზოგიერთი წესი იჯარებისათვის, დააწესოს ბინის ქირა.

ამ ცვლილებათა გასატარებლად საჭირო ყველა ღონისძიებისათვის მთავრობა თხოულობს მისცენ მას 50 მილიონი ლირა.

გაზეთი „ულუსი", ეხება რა ამ საკითხს, — სწერს: ამ ცვლილებებს არსებული ვითარება იწვევს. თურქეთში საქონლის შემოტანის შემცირება, მარაგის შემცირება, სხვა სახის მუშაობაზე ტრანსპორტის გადაყვანა აძნელებენ ვაჭრობას, იწვევენ სპეკულაციას და მარაგის შექმნის ტენდენციას. მთავრობამ თვითონ უნდა შეჰქმნას საჭირო საქონლის მარაგი და თვითონ მიაწოდოს იგი მოსახლეობას. კანონში ცვლილებათა შეტანა მთავრობას საამისოდ საჭირო უფლებას მისცემს.

იტალიის ავიაციის ზარალი

ლონდონი, 27 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ერთი კვირის განმავლობაში, რაც 25 დეკემბერს შუაღამისას დამთავრდა, ინგლისის ავიაციამ საჰაერო ბრძოლის დროს მოსპო იტალიის 31 თვითმფრინავი. აქედან 10 თვითმფრინავი ჩამოგდებულია საბერძნეთში, ხოლო 21—აფრიკის ფრონტებზე. ინგლისის ავიაციამ იმავე ხნის განმავლობაში ყველა ამ ფრონტზე დაჰკარგა სულ 7 თვითმფრინავი.

ინგლისის ავიაციამ მოსპო იტალიის 416 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციამ იტალიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაჰკარგა 75 თვითმფრინავი.

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების პლენუმები

სიღნაღი

26 დეკემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი 1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სიღნაღის რაიონში და 2. რაიკომის ანგარიში პარტიაში მიღების ხაზით 1940 წლის 24 ოქტომბრიდან 22 დეკემბრამდე ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ქურციკიძე. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა გ. გოძიაშვილმა, არ. ბერუჩაშვილმა, ვ. ქურდაშვილმა, ზ. ბარნაბიშვილმა, ვ. ფეიქრიშვილმა, შ. ჩერქეზიშვილმა და სხვ.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ალ. ჭაბაშვილი, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 27 ოქტომბრიდან დღემდე საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღებულია წევრად 16 კაცი, ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატად 7, მათ შორის 10 კოლმეურნე. საანგარიშო პერიოდში შეიქმნა 4 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, ორი პარტსაკანდიდატო ჯგუფი და ორიც პარტკომკავშირული ჯგუფი. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ვ. გურასპაშვილმა, მ. ისაიაშვილმა, ი. ნაცვლიშვილმა, ი. ძმანაშვილმა, რ. კოჭლამაზაშვილმა, ს. მირიანაშვილმა, ი. ჩინჩალაძემ და სხვ. პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანმა ამხ. ზ. ჩხუბიანაშვილმა.

პლენუმმა ორივე საკითხის ირგვლივ მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

ი. ბალიაშვილი

თელავი

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: 1. პარტიული პროპაგანდის მდგომარეობა რაიონში და 2. ანგარიში პარტიაში მიღების ხაზით ამა წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე ჩატარებული მუშაობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. დუნდუამ. მომხსენებელმა საფუძვლიანად გააკრიტიკა პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. მან აღნიშნა, რომ თელავის ძაფსაღები ფაბრიკის (პარტბიუროს მდივანი ლ. ხიზანაშვილი), წინანდლის საკოლმეურნეო (მდივანი ს. დათუკიშვილი) და ტერიტორიულ (მდივანი შ. ფირანაშვილი) და ქვემო-ალვანის საკოლმეურნეო (მდივანი ბ. ხეცოიძე) პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში სუსტად ხელმძღვანელობენ პარტიული პროპაგანდის საქმეს, არ ეხმარებიან კომუნისტებს ბოლშევიზმის ღრმად დაუფლების საქმეში.

კომუნისტები, მათ შორის ხელმძღვანელი მუშაკები, პ. ჭიჭიაშვილი, ზ. ლუარსაბოვი, ს. დათუკიშვილი, რ. ნახუცრიშვილი, მ. დარჩიაშვილი, ს. როსტომოვი, თ. ნათელაძე, შ. ტერტერაშვილი, ი. ხუციშვილი და სხვ. ნაკლებად სწავლობენ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს".

ამა წლის 21 სექტემბრიდან 17 დეკემბრამდე პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ცირეკიძემ.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ი. ცინცაძემ, ს. ჭუაძემ, ნ. ფეხმოჭრილიშვილმა, ა. ქუფარაშვილმა, ს. ხუციძემ, თ. ფილაშვილმა და ა. მეტრეველმა.

პლენუმმა მოსმენილ მოხსენებათა გამო მიიღო სათანადო დადგენილებანი.

ქ. აფხაზავა

პარტაქტივის სამხედრო მეცადინეობა

ფოთი, (საქდესი). დაიწყო პარტაქტივის სამხედრო მეცადინეობა, რომელიც მოწყობილია პარტიის საქალაქო კომიტეტის სამხედრო განყოფილების მიერ. პარტაქტივმა დიდი ხალისით მოჰკიდა ხელი სამხედრო საქმის შესწავლას. მეცადინეობას 60 კაცი ესწრება. ესენი არიან: პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმის წევრები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები და პარტბიუროების წევრები. ისინი 140-საათიანი პროგრამის მიხედვით გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ სამხედრო მომზადებას. მეცადინეობას ხელმძღვანელობენ კვალიფიციური მუშაკები.

სკოლებში სამხედრო მომზადების ხელმძღვანელებისათვის, მათი სამხედრო-თეორიული და იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად, მოწყობილია მოკლევადიანი კურსები მუშაობის მოუწყვეტლივ. ამ კურსებზე ისინი მოისმენენ ლექციების ციკლს სამხედრო-თეორიულ საგნებზე, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე.

კერძოდ, წაკითხული იქნება ლექციები ვ. ი. ლენინის წიგნებზე—„სახელმწიფო და რევოლუცია", „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", ამხანაგ სტალინის ნაშრომზე—„მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" და სხვ.

○

ლანჩხუთი, („კომუნისტის" კორ.). საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ გამოიტანა დადგენილება პარტაქტივის სამხედრო სწავლების შესახებ. სამხედრო სწავლების ჯგუფებში ჩაბმულია 50 ამხანაგი რაიონის პარტიული აქტივიდან.

მსმენელები გაივლიან სამწყობრო მომზადებას, ტოპოგრაფიას, მოისმენენ ლექციებს სამხედრო საკითხებზე და სხვ. სამხედრო სწავლებისათვის სულ 135 საათია გათვალისწინებული.

პარტაქტივის სამხედრო სწავლებისათვის შერჩეულია სათანადოდ მომზადებული თადარიგის მეთაურები.

21 დეკემბერს მოეწყო პირველი მეცადინეობა, რაც მსმენელთა დიდი აქტივობით ჩატარდა.

ვ. მექვაბიშვილი

○

ზემოსვანეთი („კომუნისტის" კორ.). მოწინავე პარტორგანიზაციების გამოცდილების საფუძველზე საქ. კ. პ. (ბ) ზემოსვანეთის რაიკომმა მოაწყო პარტიული და საბჭოთა აქტივის სამხედრო სწავლება. ჩამოყალიბებულია ოთხი ჯგუფი. ამ ჯგუფებში სამხედრო საქმეს სწავლობენ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, სულ 56 კაცი. 20 დეკემბერს პარტრაიკომში ჩატარდა რაიონული აქტივის თათბირი სამხედრო სწავლების საკითხებზე. სამხედრო სწავლების ჯგუფების პირველი მეცადინეობა ჩატარდა 22 დეკემბერს. სამხედრო მეცადინეობა ჩატარდება თვეში ოთხჯერ. სამხედრო სწავლების პროგრამაში გათვალისწინებულია 135 სასწავლო საათი.

ბ. ქობალია

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

კონსტანტინე ივანეს-ძე **კუპალდინი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1928 წლიდან, პარტბილეთი № 2850713 — სისტემატური ლოთობისათვის, პარტბილეთის დაკარგვისათვის და როგორც მსჯავრდადებული; სტანისლავ კაზიმირის-ძე **რომეიკო**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან, პარტბილეთი № 0290793 — პარტბილეთის ორჯერ დაკარგვისა და ანტიპარტიული ლაყბობისათვის; დიმიტრი ალექსანდრეს-ძე **ნადირაძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0718611 — საკანდიდატო ბარათის დაკარგვისა და პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

არამ მელიქსეთის-ძე **მაზმანიანი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2155364 — ცილისწამებისათვის და როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **ალხაზიშვილი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3081578 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; გური გიორგის-ძე **ერქომაიშვილი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2156618 — კომუნისტების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის დარღვევისათვის და როგორც მსჯავრდადებული ალიმენტების გადაუხდელობისათვის; დიმიტრი გიორგის-ძე **ცხვერებოვი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2859993 — 400 მანეთისა და კოლმეურნეობის ბეჭედის მოპარვისათვის.

იოსებ ივანეს-ძე **კოპლამაზაშვილი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1511923 — როგორც მსჯავრდადებული სახელმწიფო საქონლის მითვისებისათვის; დიმიტრი ჯიმშერის-ძე **კუტუბაშვილი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1543417 — როგორც მსჯავრდადებული ქურდობისათვის; ივანე ნიკოლოზის-ძე **ჩიჩუა**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1940 წლიდან, პარტბილეთი № 3304928 — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სამუშაოთა ჩაშლისათვის; სიმონ ფილიპეს-ძე **ალფაიძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1545089 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული; ნიკოლოზ სერგის-ძე **ხომასურიძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1675083 — როგორც მსჯავრდადებული გაფლანგვისათვის; ანასტას იაკობის-ძე **ჩოლუყა**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2163189 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოდან თვითნებურად წასვლისათვის; იოსებ ალიმბეკის-ძე **კუზახმედოვი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1264773—როგორც მსჯავრდადებული ხულიგნობისათვის; გიორგი გაბრიელის-ძე **ჩიტიშვილი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1530224 — როგორც მსჯავრდადებული ხულიგნობისათვის; ალექსანდრე ფილიპეს-ძე **კირკიტაძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 2839682 — როგორც მსჯავრდადებული კოოპერატიული სახსრების დანაკლისისათვის და ლოთობისათვის; ნოე იოსების-ძე **ვეკუა**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1940 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3078529 — პარტიაში შესვლისას თავისი ნასამართლობისა და კომკავშირული სახელის დაფარვისათვის; ცაცა მელიტონის-ასული **რუხაძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0714192 — პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის და 22 თვის განმავლობაში პარტიული საწევრო გადასახადის შეუტანლობისათვის.

დადგენილებათა შესრულების შემოწმება პარტორგანიზაციის მიერ

ლაგოდეხი, („კომუნისტის" კორ.). სოფელ აფენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი—ამხ. ზ. ქიტიაშვილი) სერიოზულად და გულდასმით ეპყრობა პარტიული ორგანიზაციის მიერ გამოტანილ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას.

ამ ორგანიზაციაში მზრუნველობით ზრდიან პარტიის წევრობის კანდიდატებს. პარტკანდიდატებს ეძლევათ პარტიული დავალებები. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურ კონტროლს უწევს დავალებათა შესრულების მიმდინარეობას.

რამდენიმე თვის წინათ პარტორგანიზაციამ მოისმინა პარტიის წევრობის კანდიდატების ილია რაზმაძისა და შუშანა ნადირაძის ინფორმაცია მათთვის მიცემულ დავალებათა შესრულებაზე. გამოირკვა, რომ შუშანა ნადირაძე და ილია რაზმაძე, რომლებიც არჩეული არიან საბრიგადო საველე გაზეთების რედკოლეგიაში, სუსტად მუშაობდნენ და სისტემატურად არ უშვებდნენ კედლის გაზეთებს. პარტორგანიზაციამ მათი მუშაობა სუსტად სცნო და მისცა მათ მითითებანი მომავალი მუშაობისათვის.

შემდეგ პარტიული ორგანიზაცია ამოწმებს შ. ნადირაძის და ი. რაზმაძის მუშაობას, რის შედეგადაც გამოირკვა, რომ აღნიშნულ ამხანაგებს გაუშლიათ მუშაობა საბრიგადო საველე გაზეთების გამოშვებისათვის.

პარტიის წევრი სოგრატ გოგრიჭიანი არჩეული იყო კედლის გაზეთის რედაქტორად. პარტიულ ორგანიზაციას არაერთხელ შეუმოწმებია ამხ. გოგრიჭიანის მუშაობა. სისტემატურად შემოწმებისა და კონკრეტული დახმარების შედეგად სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი რაიონში ერთერთ მოწინავე კედლის გაზეთად ითვლება.

პარტორგანიზაციის მითითების საფუძველზე რედკოლეგია ამჟამად სერიოზულ მუშაობას ეწევა კორესპონდენტთა შემოკრებისათვის.

პარტორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობაში საგიტაციო მუშაობის გაშლას. 23 ივლისს პარტორგანიზაციამ შეამოწმა აგიტატორების მუშაობა. გამოირკვა, რომ აგიტატორები დომენტი ხარაიშვილი და შ. ნადირაძე თავიანთ საგიტაციო უბნებში არასაკმაოდ მუშაობდნენ. პარტორგანიზაციამ თავის დადგენილებაში აღნიშნა მათი მუშაობის სუსტი მხარეები და მისცა მითითება შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

აგიტატორების მუშაობა კვლავ შეამოწმეს 16 აგვისტოს და 26 სექტემბერს. ასეთი სისტემატური შემოწმებით და პირადად პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ზ. ქიტიაშვილის დახმარების შედეგად კოლმეურნეობაში საგიტაციო მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დგას.

პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა ის საკითხი, თუ როგორ სრულდება კოლმეურნეობაში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ და გამოიტანა დადგენილება კოლმეურნეობაში მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. პარტორგანიზაციამ უზრუნველჰყო გამოტანილი დადგენილების განხორციელება. ამის შედეგად კოლმეურნეობა კარგად მოემზადა საქონლის გამოზამთრებისათვის. შეკეთდა 90 სული საქონლის ტევადობის სადგომი. ახლად აშენდა ცხვრის ერთი სადგომი 200 სულის ტევადობით, ძროხებისა—125 სულის ტევადობით. მომარაგებულია ზამთრის საკვები ცხვრისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლისათვის. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოვლა-პატრონობისათვის ფერმის გამგედ შერჩეულ იქნა ახალგაზრდა კომუნისტი პეტრე რეხვიაშვილი.

ზ. საგინაშვილი

კომუნისტები სწავლობენ წარმოების ეკონომიკას

ქუთაისი, („კომუნისტის" კორ.). ქუთაისის ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის პარტბიურომ (მდივანი ამხ. ნ. გაფრინდაშვილი), მოსკოვისა და ლენინგრადის პარტორგანიზაციათა გამოცდილების საფუძველზე, ამასწინათ წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი კურსები მოაწყო. კურსებზე მეცადინეობენ პარტბიუროს წევრები, საამქროთა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები და კომბინატის ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები (კომუნისტები) — სულ 25 კაცი.

კურსების მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს. იგი უზრუნველყოფილია კვალიფიციური ლექტორებით, სამეცადინო ბინითა და საჭირო ლიტერატურით.

ლექციებს ტექნიკური დანორმვის, წარმოების დაგეგმვის, კალკულაციის, ბალანსისა და სხვა საკითხებზე კომუნისტები განსაკუთრებული ინტერესით უსმენენ და სწავლობენ.

ქალაქ ქუთაისის სხვა საწარმოთა პირველადმა პარტორგანიზაციებმაც უნდა გადადგან ასეთი ნაბიჯი.

გ. ყურაშვილი

ქუთაისი. აბრეშუმის კომბინატის პარტბიურომ პარტაქტივისაგან ჩამოაყალიბა წარმოების ეკონომიის შემსწავლელი ჯგუფი. სურათზე: ჯგუფი მეცადინეობს. მეცადინეობას ატარებს ამხ. გ. თუთბერიძე (მარჯვნიდან მესამე).
ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

წარმატებით ჩავატაროთ პირუტყვის საკავშირო აღწერა

შ. გელაშვილი
საქ. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსი

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით ტარდება პირუტყვის საკავშირო აღწერა 1941 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით. აღწერა დაიწყება 1941 წ. 1 იანვარს დილის 8 საათზე და გასტანს 8 დღეს.

პირუტყვის აღწერა ეხება მეურნეობათა ყველა კატეგორიებს—სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, კოლმეურნეობების წევრთა, ერთპიროვნულ მეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებს. აღწერა ტარდება იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას ზუსტი ცნობები პირუტყვის რაოდენობის შესახებ, შემოწმდეს მეცხოველეობის განვითარების 1940 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება და შეგროვდეს საჭირო მასალები მეცხოველეობის განვითარების 1941 წ. გეგმის შესადგენად.

პირუტყვის აღწერა წარმოადგენს პოლიტიკურ და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საქმეს და იგი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანოების დახმარებით უნდა ჩატარდეს როგორც მეცხოველეობის საზოგადოებრივი დათვალიერება.

ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდესი მზრუნველობით ეკიდებიან სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს.

ამ მზრუნველობის ნათელ დოკუმენტებს წარმოადგენენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 8 ივლისის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ" და აგრეთვე დადგენილებანი ხორცის, მატყლის, ტყავის და მეცხოველეობის დანარჩენი პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების შესახებ.

ამ დადგენილებათა ურყევად განხორციელებით საქართველომ მოიპოვა ახალი წარმატებანი სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

აღწერის მიზანია ამ მიღწევებთან ერთად გამოააშკარაოს ის ნაკლიც, რომელიც მოითხოვს სასწრაფო გამოსწორებას. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო წინ წავწიოთ სოციალისტური მეცხოველეობის საქმე, გავაუმჯობესოთ ჯიშობრივი შემადგენლობა და გადაჭრით გავზარდოთ პირუტყვის პროდუქტიულობა.

ეს დიდი პასუხსაგები საქმე — პირუტყვის აღწერა — დავალებული აქვთ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებს. ამ საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულონ პირველყოვლისა სარაიონო (საქალაქო) და საუბნო ინსპექტორებმა, რომელნიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ აღწერას რაიონში. რაიინსპექტორი უნდა დაეუფლოს აღწერის ტექნიკას. მან უნდა უზრუნველჰყოს აღწერის სწორი ხელმძღვანელობა შედგენილი კალენდარული გეგმის საფუძველზე. აღწერა უნდა იყოს ზუსტი და ამომწურავი. მთელი პირუტყვი აუცილებლად დათვლილ უნდა იქნას ნატურით აღურიცხავი არ უნდა დარჩეს არც ერთი სული პირუტყვი.

აღწერის მაღალხარისხოვნად ჩატარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს პირუტყვის ინვენტარიზაცია. მთავრობის დადგენილება ყველა უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ავალებს პირუტყვის ინვენტარიზაცია დაამთავრონ დროულად — 31 დეკემბრისათვის. აღწერა უნდა ჩატარდეს ფართო საზოგადოებრიობის კონტროლის ქვეშ. აღწერის შედეგები გულდასმით უნდა განიხილონ თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეულ სოფელში მოქალაქეთა საერთო კრებაზე.

აღმწერლებმა პირუტყვის ზუსტ აღრიცხვასთან ერთად ფართო საზოგადოებრიობის დახმარებით უნდა გამოარკვიონ მეცხოველეობის მდგომარეობა მეურნეობათა ყველა კატეგორიებში. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა: პირუტყვის მზადყოფნა გამოზამთრებისათვის, ბინით უზრუნველყოფა, საკვები ბაზის მდგომარეობა, ზოოვეტმომსახურება, დაგრილების კამპანია, პროდუქტიულობა, საძოვრების გაუმჯობესება, პირუტყვის მოვლა, შრომის ორგანიზაცია. ნამატის შენარჩუნება და სხვ.

ჩვენს წინაშე დასმულია დიდი ამოცანა — პირუტყვის აღწერის სანიმუშოდ ჩატარება. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტაში აღრიცხვის მუშაკებს დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. აღწერა იმ შემთხვევაში ჩატარდება სწორად და წარმატებით, თუ მას სათავეში ჩაუდგებიან პარტიის რაიონული კომიტეტები და რაისაბჭოების აღმასკომები. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სერიოზულად უნდა გაშალონ მოსახლეობაში მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა აღწერის ამოცანებსა და მნიშვნელობაზე.

აღწერამდე დარჩენილი დღეები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მოსამზადებელი სამუშაოების დასამთავრებლად და მით უზრუნველვყოთ პირუტყვის აღწერის საუკეთესოდ ჩატარება.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„სედოვი"

ს. ნაგორნი. საქ. ალკკ ც. კ-ის გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია", ტირაჟი 50.000. გვ. 282, ფასი 4 მან.

„სედოვის ტრაგიკული ფიგურა არქტიკის დაპყრობის ახალი ეპოქის მიჯნაზე დგას. ადამიანები, რომლებიც მის შემდეგ მოვიდნენ ფრანც-იოსების მიწაზე, უკვე სოციალისტური სამშობლოს მოქალაქენი იყვნენ. სედოვის კუნძულზე სადაც შეწყდა სედოვის ცხოვრების გზა, აგებულია მისთვის ღირსეული ძეგლი — საბჭოთა პოლარული სადგური აქედან აიღეს სტარტი საბჭოთა ადამიანებმა პოლუსისაკენ... არა მარტოობა, არა გულგრილობა ელოდება გმირს ჩვენს ქვეყანაში, არამედ საყოველთაო სიყვარული და დახმარება. პარტია, მთავრობა, მთელი ხალხი სტალინურად ზრუნავენ უშიშარ პოლარულ მკვლევარებზე". *)



გიორგი სედოვმა კი ჯოჯოხეთი განვლო, ვიდრე ეღირსებოდა პოლუსისაკენ გემ „წმინდა ფოკათი" გამგზავრების ნებართვას მეფის მთავრობის გულგრილ მოხელეებისაგან. მაგრამ ნებართვა ერთი იყო, გამგზავრების განხორციელება კი სულ სხვა. უკანასკნელი დღეები არხანგელსკში (პოლუსისაკენ გამგზავრების ადგილი) სავსე იყო ათასგვარი წვრილმანი ამბებით, რომლებსაც სედოვი სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა. ჯერ იყო და, საზღვაო სამინისტრო დაჰპირდა რადიოტელეგრაფისტის მივლინებას, შემდეგ კი აცნობა, რომ გართულდა ეს საქმე, რადგან ტელეგრაფისტისათვის შევზულების საქმე არ მოხერხდა. ჯანდაბას ტელეგრაფისტი, მისთვის სედოვი ხომ ვერ დააგვიანებდა ექსპედიციაში გასვლას: ზაფხული უკვე იწურებოდა. მაგრამ ამ დროს გამოირკვა, რომ გემი „გადატვირთულია" და ნავსადგურიდან მისი გაყვანის ნებას არ იძლევა გემის პატრონი. სედოვი შეუდგა საექსპედიციო მარაგის ნაწილის გადმოტვირთვას, რაზედაც სამი დღე იკარგება. შემდეგ იყო და, ჯარიმა დაადეს გემს 1500 მან. უზრუნველსაყოფად, დამზღვევმა საზოგადოებამ უარი სთქვა გემის დაზღვევაზე — ძალიან შორი მანძილი აქვს გასავლელიო და ა. შ. მაგრამ სედოვის ნებისყოფა ვერაფერმა გასტეხა. და აი, 1912 წ. 27 აგვისტოს პოლუსისაკენ დაიძრა რუსეთის პირველი ექსპედიცია გ. სედოვის მეთაურობით.

ს. ნაგორნის „სედოვში" ასახულია გ. სედოვის ცხოვრების მთელი ტრაგედია: თუ როგორ იკვლევს გზას სწავლისაკენ უბრალო, ღატაკი მეთევზის შვილი გ. სედოვი, თუ როგორ აღწევს იგი თავისი დიადი მიზნის განხორციელებას და როგორ ტრაგიკულად იღუპება იგი ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

აქამდე სედოვზე ნაშრომები არ იყო. ის ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ზოგჯერ ქვეყნდებოდა გაზეთებში, წარმოადგენს 1912 წლის გაზეთებში გამოქვეყნებული ბიოგრაფიული ცნობების ვარიანტებს.

სედოვის ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლუსისაკენ სრულად იყო აღწერილი მხოლოდ ნ. პინეგინის წიგნში (ნ. პინეგინი მონაწილე იყო სედოვის ექსპედიციის). პროფ. ვ. ვიზემ, რომელიც აგრეთვე სედოვის თანამგზავრი იყო, გამოაქვეყნა მხოლოდ პატარა ნაწყვეტები დღიურიდან და მეცნიერული ნარკვევები. საარქივო მასალები კი უკანასკნელ დრომდე არ ქვეყნდებოდა. დოკუმენტები, რომლებიც სედოვს ეხება, არავის სისტემაში არ მოჰყავდა და, შეიძლება, არც არავინ კითხულობდა მათ. მეტად ძვირფასი არქივი აღმოაჩინა გ. სედოვის ქვრივს ვერა ვალერიანის-ასულ სედოვას. ყველა ამ მასალით ისარგებლა ს. ნაგორნიმ თავისი საინტერესო წიგნის დასაწერად გ. სედოვზე.

წიგნი კარგად არის ილუსტრირებული, მასში მოცემულია გ. სედოვის მიერ გადაღებული სურათებიც, რომლებიც ასახავენ მისი ექსპედიციის მომენტებს.

შ. გვინჩიძე

*) ს. ნაგორნი. „სედოვი" (ეპილოგი).

ფედიაკინელთა მიმართვის საპასუხოდ

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა მიმართა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების საოლქო განყოფილებას და განათლების ყველა სარაიონო და საქალაქო განყოფილებებს მოაწყონ რიაზანის ოლქის სოფ. ფედიაკინის ინტელიგენციის მიმართვის და ხაშურის რაიონის სოფ. ალის ინტელიგენციის გამოხმაურების ფართოდ დამუშავება იანვრის არდადეგებისას მოწვეულ მასწავლებელთა თათბირებზე და სოფლის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა (კულტურის სახლები, სარაიონო, სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბები, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სხვ.). მუშაკების საერთო კრებებზე.

აღნიშნულ თათბირებზე, სადაც მიწვეულ უნდა იქნან აგრეთვე სოფლის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც, უნდა განიხილონ სოფლის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის. ყოველმხრივ და გადაჭრით გაუმჯობესების პრაქტიკული საკითხები. განათლების სახალხო კომისარიატი მოუწოდებს სოფლის ინტელიგენციას, ფართოდ გამოიყენოს ამ მხრივ სოციალისტური შეჯიბრების მეთოდი.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების საოლქო განყოფილებამ და განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებებმა ყველა ღონისძიება უნდა მიიღონ სოფ. ფედიაკინოსა და სოფ. ალის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელთა გამოცდილების განზოგადებისათვის.

საქ. განსახკომის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს დავალებული აქვს მონოგრაფიად გამოსცეს სოფ. ალის ინტელიგენციის გამოცდილების მასალები.

მზადება 1941 წ. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

გორი, (საქდესი). ახალსოფლის მტს-ის დირექციამ 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის კანდიდატებად წამოაყენა ბრიგადირი დ. ბატონისაშვილი და მისი ბრიგადის ტრაქტორისტები— ლ. ქოთოლაშვილი და ვ. მჭედლიძე. დ. ბატონისაშვილის ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 1596,3 ჰექტარის ნაცვლად სატრაქტორო სამუშაო 1763 ჰექტარზე შეასრულა. 180 ჰექტარის ნაცვლად ბრიგადამ მზრალად მოხნა 229 ჰექტარი და 1088 კგ. საწვავი მასალა დაზოგა. ტრაქტორისტები ლ. ქოთოლაშვილი და მჭედლიძე დღიურ დავალებას 130-140 პროც. ასრულებდნენ.

○

ტყიბული, (საქდესი). ტყიბულის რაიონიდან 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში 42 კოლმეურნეობა და მოწინავე ადამიანი იღებდა მონაწილეობას. მერმის მონაწილეთა რიცხვი ერთიორად გაიზრდება. გამოფენის მონაწილეობის კანდიდატები არიან სოფ. ციხის, სოჩხეთის, ოჯოლის, ცუცხვათისა და სხვ. კოლმეურნეობები, რომლებმაც ხილის უხვი მოსავალი მიიღეს და გეგმა 300-400 პროც. შეასრულეს. კანდიდატთა შორის არიან აგრეთვე სოფ. კოკის, ნაბოსლევის, ოჯოლის და სხვ. კოლმეურნეობები, რომლებმაც ჰექტარზე საშუალოდ 2.400-2.500 კგ. ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფეს.

○

ქუთაისი, (საქდესი). ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობები მომავალი წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის ექსპონატების გამოყოფასა და შენახვას შეუდგნენ. სოფ. ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ გამოჰყო და შეინახა 50 კგ. სიმინდი და ამდენივე სოია, სოფ. ბარდუბნის კოლმეურნეობამ — 150 ჩურჩხელა, 10 დეკალიტრი ღვინო, 1 დეკალიტრი არაყი და სხვ.

სოფ. გეგუთის მილიონერი კოლმეურნეობა „წინსვლა" და სოფ. ქვიტირის 25 ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობა სათბურებში სთესავენ ნესვსს, საზამთროს, პომიდორს და წიწაკას, რომელთა ნაადრევი მოსავალი გამოფენაზე გაიგზავნება.

○

ზესტაფონი, (საქდესი). ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობები საუკეთესო მაჩვენებლებით წარსდგებიან 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. 1940 წლის გამოფენაში რაიონის 72 კოლმეურნეობიდან მონაწილეობას იღებდა 49 კოლმეურნეობა და 183 სოფლის მეურნეობის მოწინავე. მომავალი წლის გამოფენის მონაწილეობის კანდიდატებად დასახელებულია 70 კოლმეურნეობა და 304 მოწინავე, მათ შორის 100-მდე ბრიგადირი, რგოლის 37 ხელმძღვანელი, 30 მეაბრეშუმე, სოფლის მეურნეობის 15 სპეციალისტი და სხვ. წელს გამოფენაზე მეცხოველეობის არცერთი ფერმა არ იყო წარმოდგენილი, მერმის კი 12 ფერმა მიიღებს მონაწილეობას. მიმდინარე წლის გამოფენის მონაწილეთაგან არცერთს არ დაუკარგავს 1941 წლის გამოფენის მონაწილეობის უფლება.

კოლმეურნეობებში გამოყოფილი და შენახულია გამოფენაზე გასაგზავნი ექსპონატები: 3 ათასი ჩურჩხელა, 100 ტკბილი კვერი, 30 ნიმუშის ღვინო, 40 ლიტრო გადადუღებული ყურძნის წვენი და სხვა.

რაიონულ გაზეთ „ლენინელის" რედაქცია ენერგიულად იბრძვის მომავალი წლის გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. გაზეთმა გამოჰყო სპეციალური განყოფილება „ახალი გამარჯვებით შევხვდეთ 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას". სოფლის საბჭოებში გაზეთი აწყობს კედლის გაზეთების რედაქტორების, სარედაქციო კოლეგიების წევრების, კედლის გაზეთებისა და გაზეთ „ლენინელის" სოფლის კორესპონდენტთა თათბირებს, რომლებზედაც იხილავენ გამოფენისათვის მზადების მიმდინარეობას. თათბირები ხელს უწყობენ კედლის გაზეთების მუშაობის გაუმჯობესებას.

იაპონიის პარლამენტის სესიის გახსნა

ტოკიო, 26 დეკემბერი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ 26 დეკემბერს ოფიციალურად გაიხსნა იაპონიის პარლამენტის მე-76 სესია. სესიის გახსნისას იაპონიის იმპერატორმა სეფე-სიტყვა წარმოსთქვა ზედა პალატაში. მიმართა რა პარლამენტის წევრებს, იმპერატორმა კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ „იაპონიის იმპერიასა და სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც ხელშეკრულება დასდეს მასთან, ძლიერდება გულითადი ურთიერთობა“. მან პარლამენტის წევრებს მიმართა თხოვნით — გაითვალისწინონ მდგომარეობის დაძაბულობა და ერთად განიხილონ მომავალი წლის ჩვეულებრივი და საგანგებო სამხედრო ბიუჯეტი და სხვა კანონპროექტები.

სესიას დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ომისსაწინააღმდეგო განწყობილება ჩინეთში მყოფ იაპონიის არმიაში

შანხაი, 26 დეკემბერი (საქდესი). გაზეთი „შენჯოუეიბაო“ სწერს, რომ იაპონიის არმიის ჯარისკაცთა შორის სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება ომის საწინააღმდეგო განწყობილება. 21 დეკემბერს, აღნიშნავს გაზეთი, — ხუნანის პროვინციაში, იოჯოუს სამხრეთით, შეიარაღებული შეტაკება მოხდა ომის წინააღმდეგ განწყობილ იაპონელთა რაზმსა და იაპონიის ჯარის მეორე რაზმს შორის. შეტაკებამ საათზე მეტს ხანს გასტანა. ხენანის პროვინციაში რამდენიმე იაპონელი მოხელე მოჰკლეს; ეს მკვლელობა იაპონიის არმიის ომისმოწინააღმდეგე ელემენტებმა მოაწყეს. 15 დეკემბერს მათ მოჰკლეს ლუნხაის რკინიგზის კაიფინის სადგურის უფროსი, ხოლო 19 დეკემბერს,— „დამშვიდების არმიის“ შტაბის მრჩეველი ქალაქ კაიფინში.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში. ძიანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ჩინეთის ჯარმა 21 დეკემბერს იერიში მიიტანა იაპონელთა რაზმზე, რომელიც ათასი კაცისაგან შესდგებოდა და ნანჩანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში მიიწევდა. ჩინელებსა და იაპონელებს შორის სროლა ასტყდა, რაც 10 საათს გაგრძელდა. იაპონელებმა ზარალი ნახეს და იძულებული გახდნენ ნანჩანისაკენ დაეხიათ.

ჩრდილოეთ ჩინეთში. ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ჩინეთის ჯარი ამ ბოლო დროს რამდენჯერმე წარმატებით დაესხა თავს იაპონიის გარნიზონებს. 17 დეკემბერს ღამით ჩინელებმა იერიში მიიტანეს ქალაქ პოაის იაპონელთა გარნიზონზე. ქალაქის ქუჩებში მთელი ღამის განმავლობაში ბრძოლა იყო. დილით ჩინელებმა თავიანთი ბაზებისაკენ დაიხიეს.

შანსის პროვინციის სხვადასხვა ნაწილში ადგილობრივი ხასიათის შეტაკება ხდება. ჩინეთის ჯარი კონტროლს უწევს ყველა მნიშვნელოვან კლდეკარს ჯუნტიაოშანის მთებში.

სამხრეთ ჩინეთში. გუანდუნისა და გუანსის პროვინციების ფრონტებზე შედარებითი სიწყნარეა.

ჩინელმა პარტიზანებმა, რომელნიც ხაინანის კუნძულზე მოქმედებენ, აქტიობა გააძლიერეს. ისინი თავს ესხმიან ცალკეულ პუნქტებს, რომლებიც იაპონელებს უკავიათ. იაპონელები დამსჯელ ექსპედიციებს ჰგზავნიან მათ წინააღმდეგ.

26 დეკემბერი (საქდესი).

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების შექმნა ბოტევგრადში

სოფია, 26 დეკემბერი (საქდესი). როგორც გაზეთი „ბოტევგრადსკა დუმა“ იუწყება, ბოტევგრადში შეიქმნა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოება. საზოგადოების გამგეობაში შევიდნენ: თავმჯდომარე — მასწავლებელი დიმიტრი პანჩევი, მდივანი—მასწავლებელი ცეკო მინოვი, მოლარე—კოოპერატიული მოღვაწე კაჩენ ხრისტოვი.



ინგლის-გერმანიის ომი. სურათზე: ლონდონის დასაცავად დადგმული მძლავრი საზენიტო ქვემეხები. (საქდესის ფოტო).

ქუთაისი. საკონსერვო ქარხნის კომპოტის საამქროს სტახანოველი კომკავშირელი თინა ქობულაძე, რომელიც გეგმას 125 პროცენტით ასრულებს. ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

სახელოვანი ათი წლისთავი

შორიდანვე მოსჩანს დეკორაციულ მცენარეთა ჩარჩოში ჩასმული შოთა რუსთაველის ძეგლი. გარშემო ყვავილნარია გაშენებული. დიდი, ფართო მოედანი კულტურულადაა მოწყობილი. იქვეა ცალკე შემოღობილი ფართობი— სასპორტო მოედანი, რომელსაც დასავლეთიდან ტყის სიმწვანე ამშვენებს. შუაში დგას ორსართულიანი, კარგა მოზრდილი, ღამით ელექტრონით გაჩაღებული შენობა. ამ შენობაშია მოთავსებული დიდი ჯიხაიშის ამხ. **ლავრენტი ბერიას** სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

შესვლისთანავე თვალში გეცემათ ჭეშმარიტი მზრუნველობის კვალი.

ათი წელიწადია, რაც ტექნიკუმი მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში მან ჩვენს სოციალისტურ მეურნეობას მრავალი საშუალო განათლების მქონე აგრონომი მისცა მათი რიცხვი 263-ს უდრის. აქედან დღესდღეობით 39 კაცი სწავლობს სასოფლო და ზოოვეტინსტიტუტებში. 53 მუშაობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მათ შორის 4 კაცი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა და ორიც საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, დანარჩენი კი უმცროსი აგრონომებია. 65 კურსდამთავრებული წითელ არმიაშია. რომელთაგან ორი მეთაურთა სკოლადამთავრებული ლეიტენანტია. 21 პედაგოგი უმაღლესი განათლებით, 1 ასპირანტი, 19 აგრონომი, 7 პასუხისმგებელი მუშაკი. კურსდამთავრებულთაგან 102 ქალია.

ტექნიკუმს მუდმივი და ცოცხალი კავშირი აქვს დამყარებული სამეურნეო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, უკანასკნელთა მუშაკების მოწვევა ინსტრუქტაჟისა და სახელმძღვანელო მითითებათა მიცემის მიზნით და, რაც მთავარია, კავშირის შეუწყვეტლობა კურსდამთავრებულებთან. ცხოვრებაში, პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებული გამოცდილების ურთიერთგაზიარების სახით.

ტექნიკუმის მუშაობის დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მჭიდრო კავშირი მოსწავლეთა მშობლებთან.

ტექნიკუმს ჰყავს მჭიდროდ შეკავშირებული, საქმის სიყვარულის სათუძველზე გაერთიანებული პედკოლექტივი. ახალგაზრდა მასწავლებლებთან ერთად მის რიგებს ანშტკიცებენ ძველი, დამსახურებული მასწავლებლები, რომელთა შორის არიან: ალექსანდრა დარსაველიძე — რუსული ენის და ლიტ. მასწავლებელი, სასწავლო ნაწილის გამგე ამხ. ევ. დევიძე, თედორე ვაშაკიძე — სამხედრო ხელმძღვანელი, ვალნიჩუა, რომელიც პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ამზადებს სადისერტაციო შრომას, ნინო ურუშაძე, პიმენ პერტენავა, ალექსანდრე შონვაძე და სხვანი. ყველა ესენი აკადემიური ხასიათის მუშაობასთან ერთად ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევიან როგორც ტექნიკუმში, ისე მის გარეთ.

ტექნიკუმის მუშაობას ხელმძღვანელობს დირექტორი ამხ. პოლ. მიქაძე.

ტექნიკუმი ზრდის მოწინავე ადამიანებს. არიან მოსწავლენი, რომლებიც წარმატებას იჩენენ როგორც სწავლაში, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში ასეთებია: ნინო ცქიტიშვილი (კომკავშირის კომიტეტის მდივანი), მარგარიტა მელქაძე (პროფკომის თავმჯდომარე) დავით ფირცხალავა, მერი შონვაძე, ვასო ურუშაძე და მრავალი სხვ.

ტექნიკუმში გაშლილია საწრეო მუშაობა. ჩამოყალიბებულია და კარგადაც მუშაობენ სალიტერატურო, მუსიკალური, თავდაცვითი და სხვა წრეები.

ტექნიკუმი გაიხსნა 1930/31 წელს მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ყოფილ მეურნეობაში. იგი სადგურ იანეთს დაშორებულია 5 კილომეტრით, ხოლო სამტრედიას — 12 კილომეტრით.

ათი წლის განმავლობაში ტექნიკუმმა კადრების აღზრდისა და სამეურნეო ცოდნის პროპაგანდის საქმეში წარმატებებს მიაღწია. აკადემიურ სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაში მას კარგი მაჩვენებლები ახასიათებს. ამიტომ გახდა იგი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

დღეს ტექნიკუმი აღნიშნავს თავისი არსებობის 10 წლისთავს. აჯამებს წარსულ მუშაობას იმ მიზნით, რომ წარსულის გამოცდილებით შეიარაღებულმა მომავალში უფრო ინტენსიურად და ნაყოფიერად იმუშაოს, განახორციელოს მის წინაშე პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახული ამოცანები.

შალვა აფხაიძე

ბავშვები საახალწლო ნაძვის ხისათვის ემზადებიან

ბავშვები დიდი ხალისით ემზადებიან საახალწლო ნაძვის ხისათვის. ვიტრინები სადღესასწაულოდ არის მორთულ-მოკაზმული; მაღაზიებში მრავლად არის თოვლის ბაბუები, ოქროს და ვერცხლის ფერი გირლანდები, ფერად-ფერადი ბურთულები, დროშები, ნაირნაირი სათამაშოები... თბილვაჭრობის მაღაზიებში და სპეციალურ ფარდულებში გაცხოველებული ვაჭრობაა ნაძვის ხის სამკაულებით. მაღაზიებმა მიიღეს ახალი რამ — ცეცხლგამძლე ბამბა.

საბავშვო ბაღებისა, ბაგებისა, სკოლებისა, სანახაობათა და კლუბებისათვის თბილვაჭრობამ დაამზადა 8 ათასი ნაძვის ხე. უკვე გაყიდულია 250 ათასი მანეთის ნაძვის ხის სამკაული. 15 ათასი მანეთის სათამაშო შეიძინა მოზარდ მაყურებლის რუსულმა თეატრმა. მანვე დაიკვეთა 100 ნაძვის ხე, რომლებიც რკინიგზელთა ბავშვებს გაეგზავნებათ.

მოახლოებულია არდადეგები. მოწაფეები სწავლობენ ლექსებს, სიმღერებს, ცეკვებს, ემზადებიან საბავშვო თვითმოქმედებისათვის. თეატრებსა და კლუბებში მოეწყობა საბავშვო დილები და მხატვრული საღამოები. ნაძვის ხეები.

ხელოვნების მუშაკთა კლუბში 29 დეკემბერს დღის 12 საათიდან საღამოს 6 საათამდე ბავშვებისათვის გაჩირაღდნებული იქნება ნაძვის ხე. ბავშვებს საჩუქრები დაურიგდებათ. კლუბის წევრთა შვილების გარდა, წელს კლუბი მოემსახურება აგრეთვე საქნავთის, დამზადებათა კომიტეტის და სხვ. ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა შვილებს.

მოზარდ მაყურებლის ქართული თეატრის მსახიობები, ბერიას სახელობის კლუბის პიონერები სპეციალურ წარმოდგენებს გამართავენ.

საახალწლო ნაძვის ხეს აწყობენ პროფკავშირებიც. (საქდესი).

ფანმოვარჯიშეთა შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე

28 და 29 დეკემბერს თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართება საქართველოს ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება პირად და გუნდურ პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის, ფოთის, ახალციხის, თელავის და სხვა ქალაქების ტანმოვარჯიშეთა გუნდები.

მონაწილეთა შორის არიან: სპორტის დამსახურებული ოსტატები — ორდენოსნები ა. ჯორჯაძე და გ. რცხილაძე, ოსტატები—კ. თაყაიშვილი, გ. ბაბილოძე, დ. ახვლედიანი, ნ. დოლიძე, გ. მაისურაძე, ს. ბალიაშვილი, ო. მიქელაძე და სხვ.

შეჯიბრება დაიწყება დღეს, საღამოს 8 საათზე.

თბილისის უნივერსიტეტის კომკავშირელების შესანიშნავი წამოწყება

თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის კომკავშირელებმა მოწოდებით მიმართეს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობას შექმნან ალპინისტების საბრძოლო რაზმები, ფართოდ განავითარონ ალპინიზმი.

თბილისის უნივერსიტეტმა ვალდებულება იკისრა მოაწყოს ალპინისტების გასამხედროებული ბატალიონი. ამ ბატალიონის ყველა მებრძოლი 1941 წელს ჩააბარებს ალპინისტის პირველი საფეხურის ნიშნის და მთის პირველი საფეხურის ნიშნის ნორმებს.

ალპინისტების გასამხედროებული ბატალიონი მონაწილეობას მიიღებს ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ტაქტიკურ სწავლებაში.

უნივერსიტეტში ფართოდ გაიშალა მუშაობა ალპინისტების მოსამზადებლად; ეწყობა ასვლა კავკასიონის მწვერვალებზე. (საქდესი).

„გეგეჭკორი“ ცხაკაიას თეატრში

ცხაკაიას სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებლებს უჩვენა ორდენოსანი დრამატურგის შ. დადიანის პიესა „გეგეჭკორი“, რომელიც დადგეს შ. მეავახიძემ და კ. კალანდაძემ.

მთავარ როლებს ასრულებენ: ბ. არჩაია (გეგეჭკორი), ალ. გაბუნია (სიდუ), კ. კალანდაძე (დადია), შ. გაბესკირია (ხეცია), გრ. თევზაია (ჩიქვანი) და შ. შეოვაშიძე (შავდია).

პრემიერას დიდძალი ხალხი დაესწრო და შემსრულებლები ტაშით დააჯილდოვა.

თეატრის თხოვნით, პრემიერას დაესწრო პიესის ავტორი ორდენოსანი დრამატურგი შ. დადიანი, რომელსაც მაყურებელი საზოგადოება გულთბილად შეხვდა.

ი. გუგუნავა

პლეხანოვის კლუბის თვითმოქმედი თეატრი

ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც პლეხანოვის კლუბთან დაარსდა თვითმოქმედი თეატრი გრ. კოსტავას ხელმძღვანელობით. თეატრი ემსახურება სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშებს, რკინიგზელებს და ლენინის რაიონის მცხოვრებლებს. კოლექტივში გაერთიანებულია 60 მდე ქალ-ვაჟი.

ამ ერთი წლის განმავლობაში თეატრმა მოამზადა 6 პრემიერა. აქედან ორი — „ყაზბეგის გმირები“ და „საქმის ხალხი“ — დაიდგა მიმდინარე სეზონში. თეატრი მტკიცე გეგმით მუშაობს და ყოველ თვეში დგამს 12 წარმოდგენას. მაყურებელთა დასწრება საგრძნობლად მომრავლებულია.

პლეხანოვის კლუბის თვითმოქმედი თეატრი დღევანდლამდე ფილოტაციოდ მუშაობს. ეს ხელს უშლის ახალგაზრდა ნიჭიერ კოლექტივს კიდევ უფრო გაიფართოოს თავისი მუშაობა და გაამრავლოს პრემიერების რიცხვი. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ თეატრს და აღმოუჩინოს მას დახმარება.

ზ. ნ.

ცირკი

საინტერესო პროგრამა

თბილისის სახელმწიფო ცირკის მესამე ციკლის პროგრამა საინტერესოდ იწყება. პროლოგში „საღამო მშვიდობისა“ აშკარად სჩანს სამხატვრო ხელმძღვანელის საქ. სსრ და რსფსრ დამსახურებული არტისტის ლეო ტანტის მონდომება. მაღალმხატვრული გემოვნებით არის დაწერილი და შესრულებული პროლოგის სცენარი.

ახალ პროგრამაში მრავალი მსახიობი იქცევს მაყურებელთა ყურადღებას.

კიბეზე ანტიპოდ-თამაშობას საუცხოოდ ასრულებს არტისტი მოსკოვცევი. მოსკოვცევი თავისი გამოსვლით ამტკიცებს, რომ იგი საცირკო ხელოვნების შესანიშნავი ოსტატია, რომელსაც დიდი მეცადინეობით შეუქმნია მეტად საინტერესო სანახაობა.

მართლაც, სათვალავი: კიბეზე, რომელიც არაფერზე არ არის მიყრდნობილი, მოსკოვცევი წონასწორობის დაცვით ადის. უფრო მეტიც: კიბეს აგდებს უცვლის, შემოაბრუნებს და ჩამოდის ზურგით. აი, უკანასკნელად ავიდა კიბეზე და სწორედ აქ იჩენს უდიდეს ოსტატობას: ელექტროსინათლეზე ბრჭყვიალებს მოსკოვცევის ხელში შეთამაშებული სამი თეფში, ერთდროულად ატრიალებს ფეხზე წამოცმულ რგოლს, ტრიალებს პირით დაკავებული საგანი, თვითონ კი ერთი ფეხის ტერფით, ხოლო მეორის კვირისტავით დგას კიბეზე,—და ყველა ეს ისეთი ოსტატობით სრულდება, რომ ოდნავადაც არ ჰკარგავს წონასწორობას. მაყურებლებში დიდი ინტერესი გამოიწვია მის მიერ შესრულებულმა დანარჩენმა ნომრებმაც: ცილინდრის თამაში ქუდდა კიდურებით და სხვ.

თბილისის საზოგადოების მოლოდინი გამართლდა ლბის დასმა. 14 კაცის ჯვარედინი ფრენა, ჰაერში დაკიდული ორიდან ღერძზე ნომრის ვარჯიში სიზუსტით და ოსტატობით ტარდება. ამბრის ქასიდან ვკოდებს მოვარჯიშეთა... სპორტული დახელოვნება... წარმატება ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი საცირკო ხელოვნების წინსვლას.

ერთობ საინტერესო იყო აკრობატ-ექსცენტრიკოსების — ძმ. ორლოვების გამოსვლა. მათს გამოსვლაში კარგად იყო გამოყენებული ცირკის ხუმარა „პატი“. იგი მსახიობებს ყოველმხრივ ხელს უწყობდა ვარჯიშში. მისასალმებელია, რომ ბაიდა, გარდა მაღალხარისხოვანი იხუნჯობისა, კარგად დაეუფლებია საცირკო ტრიუკებს, ეს კი ცირკის ყველა ხუმარას არ ეხერხება.

მაყურებელთა ყურადღება მიიქცია ინდიურმა ეთნოგრაფიამ ტომსონების შესრულებით და ჰაერში ტანმოვარჯიშე ტეოდოსკებმა.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ძმ. ტანტის ჯგუფის მუსიკალური გამოსვლა. ლიტერატურული მასალის შინაარსთან შეხამებულია მუსიკალური საკრავების მწყობრი და საამო ხმები. მხოლოდ ერთი უნდა შევნიშნოთ: რომ დასაც ორკესტრი ასრულებს „Поезд идет“-ს მაშინ კიბის გამოტანა და ხელოვნური „წვიმა“ მხოლოდ ზოგიერთში იწვევს იათფასიან სიცილს, რაც შესაძლოა ნომერს მხატვრულ იერს უკარგავს.

მაყურებლები ტაშის გრიალით შეეგებნენ საბჭოთა კავშირის ცირკის მშვენებას — ორდენოსან იური დუროვს. მის მიერ გაწვრთნილმა ძაღლმა-მათემატიკოსმა, სპილომ, დათვმა, მაიმუნებმა, პატარა ჯიშის ძაღლებმა და სელაპმა გააოცეს მაყურებლები.

ლ. ისაკოვი

პირველი თოვლი თბილისის მიდამოებში

უკანასკნელ დღეებამდე თბილისსა და მის მიდამოებში მზიანი, თბილი ამინდი იდგა.

უკანასკნელ ორ დღეში მოხდა ამინდის ცვლილება. 27 დეკემბერს დაიწყო თოვა თბილისის მახლობელ მიდამოებში. კოჯრის მთა და თბილისის მახლობელი მაღლობები ამ დღეს დილით თოვლით იყო გადაფიფქული.

О

სტალინირი, 27 დეკემბერი (საქკორ.). წუხელ სტალინირში პირველად მოვიდა თოვლი. დღეს განუწყვეტლივ თოვს.

რადიოგადაცემა დღეს

9.10—გაზეთ „პრავდის“ მოწინავე; 9.35—კონცერტი; 10.00—წერილები გაზეთებიდან; 10.30—გადაცემა ციკლიდან „სკოლის ცხოვრება“ ქართულ ენაზე; 10.50—კონცერტი; 11.30 — თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე; 11.50—ინფორმაციები; 12.00—კონცერტი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან; 12.45 — მიკროფონთან საქ. განსახკომის ფსიქიატრიული ინსტიტუტისა და კლინიკის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბაშვილი; 12.50—საუბარი თემაზე —დიდი შრომით აღმავლობა; 13.00—უკანასკნელ ცნობათა დღის გამოშვება; 16.50—გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.00—გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე — „შიო მღვიმელი“; 18.00—მსუბუქი ჟანრის მუსიკის კონცერტი; 18.30 უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართულ და რუსულ ენებზე; 18.58 — დროის შემოწმება; 19.20—კონცერტი; 20.00 — უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება; 20.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე ქართულ ენაზე; 20.45—სიმფონიური კონცერტი; 21.15 — ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები 1905 წ. დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყების სათავეში; 21.30—ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე, მიკროფონთან პოეტი კ. ჭიჭინაძე; 22.00—ტრანსლაცია მოსკოვიდან; 22.30 — გამოჩენილი კონცერტი „გოგლრის“ 20 წლისთავის აღსანიშნავად (გაზ. „კომუნისტის“ კლუბის დარბაზიდან); 24.00—უკანასკნელ ცნობათა დღის გამოშვება ქართულ ენაზე; 00.30 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება და ტრანსლაცია მოსკოვიდან.

ლექციები და მოხსენებები

28 დეკემბერს, საღამოს 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. **ირ. ხანთაძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„მხატვრული ლიტერატურა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებში“.**

29 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პრ., № 21) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 12-დან 9 საათამდე.

დღეს კინოებში

კინოებში: რუსთაველის სახ. — „ახალი სამყაროს დღე“, **დღისით** — „რო“, **ოქტომბერი**—„დაბრუნება“, **მკვრელი**—„ახალი სამყაროს დღე“, **დღისით**—„გადასახვლელი“, **კომკავშირი** —„მეხუთე ოკეანე“, **სპარტაკი**—„სამი ამხანაგი“, **ლუქსემბურგის სახ.** — „დაბრუნება“, **26 კომ. სახ.**—„დაბრუნება“, **კომინტერნი**—„რუსლან და ლიუდმილა“, **განთიადი** — „ახალი სამყაროს დღე“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი**—„მინინი და პოჟარსკი“, **წითელი არმიის სახლი**—„დიდი ვალსი“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „ქალი ხიდიდან“, **მეცნიერება და ცოდნა** — „საბჭოთა კინოჟურნალი № 109. მოლოტოვის ყოფნა ბერლინში“, **საზკვების კავშირის კლუბი**—„ჩაპაევი“

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

28 დეკემბერს **ევგენი ონეგინი**

29 დეკემბერს **ბაღჩისარაის შადრევანი**

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1940-41 წ. წ. სეზონი

28 დეკემბერს **გიორგი სააკაძე**

29 დეკემბერს **ღ ა ლ ა ტ ი**

30 დეკემბერს **ბოგდან ხმელნიცკი**

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი 1940-41 წ. წ. სეზონი

28 დეკემბერს **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**

29 დეკემბერს **მარგარიტა გოტიე**

30 დეკემბერს **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი 1940 - 41 წ.წ. სეზონი

არდადეგებთან დაკავშირებით დღის წარმოდგენები დაკლებულ ფასებში

კვირა 5 იანვარი **ვერაგობა და სიყვარული**

ხუთშაბათი 9 იანვარი **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**

პარასკევი 10 იანვარი **ბედნიერება**

კვირა 12 იანვარი **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**

დღის წარმოდგენის დასაწყისი დღის 12 საათზე.

სალარო ღიაა დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

საქართველოს სარეწ. ქიმ. კავშირის სისტემაში შემავალ არტელ „ქიმდენის“ დასკვნითი ბალანსი 1940 წლის 1 იანვრისათვის

ა ქ ტ ი ვ ი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან. კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	27431—15
2	ნედლეული და მასალები	13469—81
3	წარმოება და გადამუშავება	10293—73
4	პროდუქცია და საქონელი	66690—08
5	მცირეფასიანი და ადვილსაცვეთი ინვენტარი	6438—35
6	ფულადი საშუალებანი	33290—46
7	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	11729—69
8	მომავალი დროის ხარჯები	4478—66
9	განყენებული საშუალებანი	8025——
	ბალანსი	181846—93

პ ა ს ი ვ ი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან. კაპ.
1	ფონდები	21415—04
2	მიზნობრივი რეზერვები	372—97
3	გრძელვადიანი კრედიტები	2765—04
	მოკლევადიანი კრედიტები	26000——
5	ანგარიშსწორებანი	94734 83
6	მოგება	11669—05
	ბალანსი	181846—93

მოგებისა და ზარალის ანგარიში

№ № რიგ.	ხარჯები და ზარალი	თანხა მან. კაპ.
1	სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	—
	სულ	—
2	საანგარიშო წლის წმინდა მოგება	11669—05
	ბალანსი	11669—05

№ № რიგ.	შემოსავალი და საერთო მოგება	თანხა მან. კაპ.
1	შემოსავალი რეალიზაციით	10078—45
2	სხვადასხვა შემოსავალი	1590—60
	სულ	11669—05
	ბალანსი	11669—05

ბალანსი დამტკიცებულია საქ. ქიმ. სარეწაო კავშირის საბალანსო კომისიის მიერ 1940 წ. 7 თებერვალს.
გამგეობის თავმჯდომარე ი. ს. ართილაყვა. მთ. ბუღალტერი პ. გ. ქარჩილაძე. 1126

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატი.
თელავის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის ბალანსი 1940 წლის 1 იანვრისათვის (ათას მან.)

ა ქ ტ ი ვ ი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	2344
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	5566
3	საქონელი და მზა ნაწარმი	266
4	გადაგზავნილი საქონელი და შესრულებული სამუშაოები	758
5	ფულადი საშუალებანი	284
6	ანგარიშსწორებანი (დებიტორები)	15
7	მომავალი წლების ხარჯები	4
8	საშუალებანი კაპიტალურ რემონტში	1
9	შენატანები, ანარიცხები და სხვა განყენ. საშუალებანი	892
10	საბალანსთაშორისო და შინაგანი ანგარიშსწორებანი	7
	ბალანსი	10087

პ ა ს ი ვ ი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	საწესდებო ფონდები	2712
2	სპეციალური ფონდები	406
3	მოკლევადიანი კრედიტები	5082
4	ანგარიშსწორებანი (კრედიტორები)	454
5	მიმდინარე წლის დაგროვება	1433
	ბალანსი	10087

დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1	სხვადასხვა დანაკარგები	301
	სულ	301
	დაგროვების სალდო	1433
	სულ	1734

1.	დაგროვება საქონლისა და მზა ნაწარმის რეალიზაციით	1614
2.	დანარჩენი დაგროვებანი	120
	სულ	1734
	დანაკარგის სალდო	—
	სულ	1734

ფაბრიკის დირექტორი მუჟირი. მთ. ბუღალტერი სოლომე.
ბალანსი და დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ 1940 წ. 14 ნოემბერს.
659 საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცენტრ. ბუღალტერიის უფროსი ჩალთიკიანი.

შვილები ფეფუც, მარო, რევაზ გედევანიშვილები, სიძეები ჟოორგი ლორთქიფანიძე, პარმენ ჩიქოვანი იუწყებიან, რომ ძვირფასი დედის **სოფიო გედევანიშვილის** პანაშვიდი გადახდილი იქნება 29 დეკემბერს, დღის 3 საათზე.

მეზობლები მინაშიანი, გუგუნავა, ბერიშვილი, ს. ბერიშვილი, ცანავა, ჩანტლაძე, ჩიხლაძე, მამულაშვილი, ლეჟავა, მიქელაძე, ჯანტურიძე იუწყებიან აკაკი ენუქიძის მამის **ლუკას** გარდაცვალებას.

შვილები ლეო, ვენერა ვაშაკიძეები, რძალი თინა ქაჯაია-ვაშაკიძისა იუწყებიან **ლილოსის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/XII 8 ს. პასტერის, 7, გამოსვენება 29/XII 6 ს. კუკიის სასაფლაოზე. 9627

სახელმწიფო მუსიკალური სტუდიის პედაგოგები და თანამშრომლები იუწყებიან ლავრენტი ალექსანდრეს-ძე ოძელაშვილის ბიძის **ალექსანდრე იოსების-ძე არაქელოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28/XII 5½ ს. გუთნის, 11 (ავლაბარი), პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 9631

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის თანამშრომლები რურუა, შარუხია, ლამბაშიძე, ივანაშვილი, კიკნაძე, პაპავა, მელიქოვი, ჩხარტიშვილი, სოკოლოვა, არაბიანი, საჯაია, შუბლაძე, ჩუბინიძე, გარაყანიძე იუწყებიან კ. მაჭავარიანის შვილის **პატარა თამრიკოს** გარდაცვალებას. 9632

ამ. მაჭარაშვილი, ე. კალანდარაშვილი, გრ. კუტუბიძე, ვ. აბაშიძე, ნ. შენგელაია, მ. წერეთელი, გ. ათონელიშვილი ნ. ბალავაძე, ი. ნიკოლაიშვილი, შ. სულიაშვილი, ლ. ასლავიძე იუწყებიან მასწავლებელ დავით ჩიკოიძის ძმის **ვახტანგის** გარდაცვალებას. 9628

ვასო, ელპიტე კობახიძეები შვილებით ცაცათი, ირაკლით იუწყებიან **ნესტორ პეტრეს-ძე მესხის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კორტში (ამბროლაურის რ.) 28/XII.

მეუღლე ვარვარა, შვილი ხუხა იუწყებიან **ანდრო დუტუს-ძე ჯორჯიკიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 31/XII 5½ ს. კლ. ცეტკინის 182, კუკიის სასაფლაოზე. 9639

სარა ქელიძე იუწყება მეუღლის **ამბაკო სოლომონის-ძე ქელიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28/XII 3 ს. ჯაფარიძის, 1, დაკრძალვა ვაკის მწერალთა პანთეონში. 9640

მარო ბუჩუკური ქმარშვილით, ეთერა, ნინო, კატია იობაშვილები, რძალი ანიკო შვილებით, მიშა, ელენე, გრუნია დაუშვილები იუწყებიან ბიძის **ამბაკო ქელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/XII 3 ს. მწერალთა პანთეონში (ვაკე). 9621

ძალო ნინო ელიზბარიშვილი შვილებით: გიგო, ნიკოლოზ, ვასო ცოლშვილით, სოფიო, თამარ ქმარშვილით იუწყება ბრძილ ელიზბარიშვილის ცოლის **თამარ ნესტორის-ასულის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/XII თელავში. 9634

ამხანაგები ცომაკურიძე, კაჭარავა, ლოლომაძე, სოხაძე, ჩხეიძე, კალატოზიშვილი, გოგია, დემეტრაშვილი, ახუმოვი, ოგანიანი, ბრუთიმოვი, ოქროსცვარიძე, ტრაპაიძე, ლორთქიფანიძე იუწყებიან საქფინსახკომის ადგილობრივი ბიუჯეტების სამმართველოს უფროსის ი. გაბისონიას დედის **სალომე გაბისონიას** გარდაცვალებას. 9636

შვილები იონა, პავლე, ანდრია, ბაგრატ, რაჟდენ, რძლები ნადია, ლუბა, ლიზა, ქეთია, ლიდა, ოლია გაბისონიები შვილებით იუწყებიან **სალომე გაბისონიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1941 წ 2 იანვარს ს. კურზუში (გეგეჭკორის რ.). 9636

უახლოესი ამხანაგები რ. მოწერელია, ლ. ბაქრაძე, ო. კერძაია, გ. ჩოფიკაშვილი, ნ. ქვანია, შ. გოგუაძე, ა. პიჩიკიანი, ლ. ბიბუთოვა იუწყებიან დავით ჩიკოიძის ძმის **ვახტანგ ჩიკოიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/XII 6 ს. ვაკის სასაფლაოზე. 9637

ტარასაშვილი, ხაბურზანია, კიკნაძე, ნ. აბაშიძე, ლ. ბახტაძე, ცინცაძე, გიგინეიშვილი, ბესაძე, ადამია, ჯაფარიძე, თ. აბაშიძე, გოგოლაძე, თ. ბახტაძე, გულისაშვილი, ა. ჯიორგაძე იუწყებიან მარო ბლუაშვილის მამის **ვასილის** გარდაცვალებას. 9624

მეუღლე ოლია, შვილები მარიამ, გრიშა, აკაკი, დავით, ელენე, ქეთევანი, კოლია, რძლები ქეთია, ზინა და შვილიშვილები იუწყებიან **სიმონ დიმიტრის-ძე ჭანტურიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31/XII ქ. ქუთაისში. 9626

მეუღლე ივგენია, შვილები ქეთო, გიორგი, ოთარ, ჯილდა, სიძედი ნინო იუწყებიან **არქიპო (არტემ) სილოვანის-ძე სვიმონიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/XII 7 ს. გამოსვენება 29/XII 6 ს. ყორღანოვის, 13 9629

მშობლები ლიდა, ყარამან, დები და ძმები ოდიშარიები, და ვერა, სიძე ალიოშა შვილებით მაისაიები იუწყებიან **ამირან ყარამანის-ძე ოდიშარიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29/XII ს. ძონძირში. 9608

ცოლი სარა, შვილი ეორეკა, რძალი ლოლა, შვილიშვილები ნანი, თენგიზ იუწყებიან **სილოვან პავლეს-ძე ბახტაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/XII წულუკიძეში. 9618

შვილები აკაკი, ნინო, რძლები ოლია, მარგარიტა შვილებით იუწყებიან **ლუკა კაციას-ძე ენუქიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/XII 7 ს. გამოსვენება 29/XII 6 ს. ტურგენევის, 4, კუკიის სასაფლაოზე. 9619

მშობლები ეპი, ფედოსია, ძმა დურუ, დები ოლია, სულიკო, ჟანა, ბიძა ნიკო იუწყებიან **ბაბულია მალანია-ქოიავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/XII აბაშაში. 9620

ქმარი ავქსენტი ქოიავა შვილით თინათი იუწყება **ბაბულია მალანია-ქოიავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/XII სოფ. აბაშაში. 9620

მამიდა ვერა თედორეს-ასული ჭკადუა, რუსუდან, ლეო ჭკადუები იუწყებიან **თამარ მეძმარიაშვილი-ელიზბარაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/XII ქ. თელავში. 9622

ავჭალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება ამავე სკოლის დირექტორის აკაკი ფოჩხუას ძმის **ივლიანე თომას-ძე ფოჩხუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29/XII ბანძაში. 9623

დედა ქრისტინე, დები თათუშა, ცუცუნა, ცისწული მერი, მამიდები მინიკა, ჩიჩკა ქმარშვილით, ბიცოლა ვერიკა აბაშიძეები იუწყებიან ინჟინერ **გრიგოლ (ბუჭუა) მელიტონის-ძე აბაშიძის** გარდაცვალებას. 9625

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის კ. 08-67. კ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84 სასოფლო სამეურნეოს — 3—73—40 ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3—80—84, წერილების - 3—73—24, კ-მგ. მორიგისა და გამომშვების 3—81—65. გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლ-გრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 11104